ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

კერძო მეწარმეობის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის მოდული: ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია

ნიკო ხუციშვილი

ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი **გულნაზ ერქომაიშვილი**
ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2019

ანოტაცია

ნებისმიერი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით კი სუსტი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, კერძო მეწარმეობის განვითარება წარმოადგენს როგორც ეკონომიკის, ისე ზოგადი განვითარების წინაპირობას. აუცილებელია რომ ყველა ქვეყნის მთავრობისთვის, პრიორიტეტს წარმოადგენდეს კერძო მეწარმეობის განვითარების მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. რადგანაც საქართველო გარდამავავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანას წარმოადგენს, ჩვენთვისაც პრიორიტეტად უნდა იქცეს კერძო მეწარმეებისთვის განვითარებისთვის აუცილებელი გარემოს შექმნა.

ნაშრომში განხილულია მეწარმეობის დაწყების წინაპირობები, მოტივები და ხელშემწყობი ფაქტორები. ამასთან გათვალისწინებულია სახელმწიფოს, როგორც ხელშემწყობი ფაქტორები, ასევე ის რეგულაციები, რომლებიც ხელს უშლის მეწარმეობის დაწყებას, ან ართულებს წარმოების პროცესში იმ მიზნების მიღწევას რაც მეწარმეს წინასწარ ქონდა დასახული.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ნაშრომში განხილულია მეწარმეობაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები და საქართველოში მეწარმეობის ხელშესაყობად გატარებული რეფორმები. ასევე ნაშრომში მაგალითების სახით ნაჩვენებია თუ რა უპირატესობები გააჩნია კერძო საწარმოს, სახელმწიფო საწარმოსგან განსხვავებით. ყურადღება გამახვილებულია საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემაზე და ნაჩვენებია თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია გადასახადებს, სამეწარმეო საქმიანობაზე.

კვლევისას გამოყენებულია ზოგადი და კონკრეტული მეთოდები, ისეთები როგორებიცაა სინთეზი, ანალიზი, ინდუქცია და დედუქცია, შედარებისა და სტატისტიკური მეთოდები, ექსპერტული შეფასებები. ანალიტიკურ და სტატისტიკურ შეფასებებს შორის კავშირის დასადგენად გამოყენებულია საერთშორიოსო ორგანიზაციების, ქართველ და უცხოელ ეკონომისტთა, როგორც თეორიული ისე გამოყენებით კვლევები. ასევე ხდებოდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს მონაცემების გამოყენება, კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით სწორი ანალიზის გასაკეთებლად. კონკრეტული საკითხის შესწავლისას ხდებოდა სხვადასხვა ფაქტორით გამოწვეული მოვლენების გაანალიზება და მათი გავლენის მასშტაბების დადგენა მეწარმეობაზე.

Annotation

For any country, especially those with weak economies, the development of private entrepreneurship is a prerequisite for both economic and general development. It is necessary for the governments of all countries to provide a stimulating economic policy for the development of private entrepreneurship. As Georgia is a country with a transition economy, it should also be a priority for us to create the environment, which will help private entrepreneurs to develop.

The study discusses the prerequisites, motives and supporting factors for starting an entrepreneurship. It also provides for the State as a contributing factor, as well as regulations that hinder entrepreneurship, or hamper the achievement of the goals of the entrepreneur in the production process.

In addition to the above, the study discusses the main factors affecting entrepreneurship and the reforms undertaken to promote entrepreneurship in Georgia. The study also shows examples of the advantages of a private enterprise as opposed to a public enterprise. The focus is on the existing tax system in Georgia and the impact that taxes can have on entrepreneurial activity.

The study uses general and specific methods such as synthesis, analysis, induction and deduction, comparison and statistical methods, expert evaluation. To determine the relationship between analytical and statistical estimates, is used international organizations, Georgian and foreign economists, both theoretical and applied studies. Data were also used from National Statistics Office of Georgia and the Ministry of Finance, to conduct a proper analysis of specific issues. Specific issues were analyzed by analyzing the events caused by various factors and identifying the magnitude of their impact on entrepreneurship.

შინაარსი

შესავალი 5

თავი **1.** მეწარმეობის დაწყების წინაპირობები და მისი სტიმულირება 8

1.1 მეწარმეობა - საქმიანი აქტივობის განსაკუთრებული ფორმა 8

1.2 სახელმწიფოს როლი მეწარმეობის ხელშეწყობაში 16

1.3 ციფრული ტექნოლოგიების გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე 32

თავი **2.** მეწარმეობაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები 45

2.1 რეგულაციები, როგორც მეწარმეობის შემაფერხებლები 45

2.2 საბანკო რეგულაციები საქართველოში და მათი გავლენა მეწარმეობაზე 50

2.3 მეწარმეობის ხელშემწყობი რეფორმები საქართველოში 57

თავი **3.** საგადასახადო პოლიტიკის გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე 67

3.1 გადასახადების სახეები და საგადასახადო სისტემა საქართველოში 67

3.2. გადასახადების გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე 75

დასკვნები და რეკომენდაციები 80

გამოყენებული ლიტერატურა **84**

შესავალი

თემის აქტუალობა. კერძო მეწარმეობის განვითარება ქვეყნებისთვის, განსაკუთრებით კი განვითარებადი ქვეყნებისთვის, დიდი მნიშვნელობის მატარებელია. მას შემდეგ, რაც მსოფლიოს უდიდესი ნაწილი სოციალიზმიდან გამოვიდა, კერძო მეწარმეობა უფრო სწრაფად მზარდი გახდა, რაზეც მეტყველებს მსოფლიოში შექმნილი საერთო ეკონომიკური სურათი. კერძო მეწარმეები უფრო დიდ მწვერვალებს იპყრობენ, ვიდრე ოდესმე სახელმწიფო სტრუქტურები.

კერძო მეწარმეობის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს როგორც დამწყებ მეწარმეებს, ასევე უკვე არსებულებს. გატარებული პოლიტიკაც მაქსიმალურად მათ თავისუფალ საქმიანობაზე უნდა იყოს მორგებული.

კერძო მეწარმეობის განვითარება და ხელშეწყობა ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს, თუ არა მთავარ, მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს. მეწარმეთა ფენის და კონკურენტურანიანი სამეწარმეო სტრუქტურის ფორმირება ქვეყნის ეკონომიკური განავითარების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე აუცილებელია სწორი და რაციონალური პოლიტიკის გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს კერძო მეწარმეობის განვითარებას.

გამომდინარე იქიდან, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეწარმე დამოუკიდებელია და მას მხოლოდ ბაზარზე არსებული სიტუაცია, რომელსაც ბევრი მეწარმე ერთად ქმნის, და სახელმწიფოს მირ მიღებული კანონები მართავს, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება სწორი ეკონომიკური პოლტიკის გატარება და მეწარმეების სტიმულირება.

მეწარმეები საკუთარი ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან ერთად, ქმნიან ეკონომიკურ ცხოვრებას და ცდილობენ მის შეცვლას მათთვის

სასიკეთოდ. შესაბამისად, თავისუფალი ეკონომიკური ბაზარი ისეთნაირადაა მოწყობილი, რომ მეწარმე საკუთარი სურვილების დაკმაყოფილებასთან ერთად, აკმაყოფილებს მოსახლეობის ინტერესებს. თუ საზოგადოებას აქვს მოთხოვნილება გარკვეულ საქონელზე, აუცილებლად გამოჩნდება მეწარმე, რომელიც დაიწყებს აღნიშნული საქონლის წარმოებას.

საბაზრო ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ ძალას - მეწარმეთა ფენას სახელმწიფომ უნდა შეუქმნას ხელსაყრელი სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი და საბაზრო გარემო. სახელმწიფოს ეკონომიკურმა პოლიტიკამ ორგანიზაციულ და ფინანსურ მხარდაჭერასთან ერთად ხელი უნდა შეუწყოს სწორი სამეწარმეო პოლიტიკისა და სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების ღონისძიებათა გატარებას. ამდენად, კერძო მეწარმეობის განვითარების მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკის შესწავლა და ანალიზი უდაოდ აქტუალურია.

ნაშრომის მიზანი და ამოცანები - ნაშრომის მიზანია შეისწავლოს კერძო მეწარმეთა ჩამოყალიბების, განვითარებისა და მისი ხელშემწყობი გარემოს ფორმირების ეკონომიკური პოლიტიკა. ასევე შეისწავლოს რა კონკრეტული ფაქტორები ახდენს მის სტიმულირებაზე გავლენას და განსაზღვროს ის სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ყველაზე მეტად მისცემს სტიმულს კერძო მეწარმეებს საქმიანობის დაწყებისას.

ამისათვის საჭიროა კარგად შევისწავლოთ მეწარმეობის განვითარების თეორიული საფუძვლები, შემდგომ კი მათზე დაყრდნობით, ემპირიული ანალიზის საშუალებით, დასკვნები გამოვიტანოთ.

კვლევის მეთოდები. კვლევისას გამოყენებულია ზოგადი და კონკრეტული მეთოდები, კერძოდ, ანალიზი, სინთეზი, ინდუქცია, დედუქცია, მეცნიერული აბსტრაქციის, შედარებისა და სტატისტიკური (დაკვირვების, შერჩევითი, დაჯგუფების, ანალიზის, დინამიკის) მეთოდები, აგრეთვე ექსპერტული შეფასებები.

ანალიტიკურ და სტატისტიკურ შეფასებებს შორის კანონზომიერებების დასადგენად გამოვიყენეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პუბლიკაციები, საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე, ქართველ და უცხოელ მეცნიერ-ეკონომისტთა თეორიული და გამოყენებითი კვლევები.

კონკრეტული საკითხის შესწავლისას ხდებოდა სხვადასხვა ფაქტორით გამოწვეული მოვლენების გაანალიზება და მათი გავლენის მასშტაბების დადგენა მეწარმეობაზე.

თავი 1. მეწარმეობის დაწყების წინაპირობები და მისი სტიმულირება

1.1 მეწარმეობა - საქმიანი აქტივობის განსაკუთრებული ფორმა

მეწარმეობა არის ადამიანის სწრაფვა დაიკმაყოფილოს საკუთარი ინტერესები. მეწარმის საქმიანობა მიმართულია მოგების მიღებისაკენ, საბოლოოდ კი ის არამხოლოდ საკუთარ ინტერესებს, არამედ საზოგადო ინტერესების განხორციელებასაც უწყობს ხელს. თუმცა არსებობს მეწარმის აღქმა, როგორც უბილეთო მგზავრის, მაგრამ ყველა საზოგადოება, რომლის თითოეული ინდივიდი პირად მოგებაზე ზრუნავს და ამისათვის ეწევა საქმიანობას, სწრაფად ვითარდება. ამის მიზეზი არის ის, რომ ეკონომიკურად ძლიერი ინდივიდები, ძლიერ საზოგადოებასაც ქმნიან და უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მათი საქმიანობა დამყარებული უნდა იყოს კეთილსინდისიერ კონკურენციაზე და არ უნდა ხდებოდეს ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. ამ კუთხით შესაძლებელია სახელმწიფოს როლზეც ვისაუბროთ.

მეწარმე არის სუბიექტი, რომელსაც გააჩნია სურვილი და უნარი აწარმოოს სხვადახვა სახის ეკონომიკური საქმიანობა და მიიღოს მოგება. ტერმინი „*მეწარმეობა*“ პირველად გამოიყენა ფრანგმა ეკონომისტმა რიჩარდ კანტილიონმა XVIII ს. მეორე ნახევარში საკუთარ ნაშრომში „გამოცდილება ზოგადად ვაჭრობის ბუნების შესახებ“. იგი მეწარმეობას აიგივებდა ვაჭრობასთან და განასხვავებდა მას ფინანსური საქმიანობისგან. მისი აზრით, *„მეწარმე არის ნებისმიერი ინდივიდი, რომელსაც შეუძლია თავის თავზე აიღოს რისკი, მიისწრაფვის მომავლისაკენ,იმედი აქვს მიიღოს შემოსავალი და მზად არის დანაკარგებისთვისაც“.* [1]

[1]Richard Cantilion, Essay on the Nature of Trade in General, 1730

მისი აზრით, მეწარმეობის მთავარი განსაზღვრება არა მისი ინოვატორობა, არამედ მეწარმის, როგორც მოგების მიღებაზე ორიენტირებილი ადამიანის წარმოჩენაა. მისი ალღო, შესაბამისი განათლება და მის მიერ გაწეული რისკები მას ეხმარება აღიქვას ბაზარი. მეწარმე შედის ბაზარზე მხოლოდ მას შემდეგ, თუ იქ არსებული მოგება და შემოსავლის დონე, შესაბამისობაში იქნება იმ რისკებთან, რომელსაც იგი გასწევს ამ ბაზარზე შესვლისას. [2]

ამავე მოსაზრების მიმდევრებად შეიძლება ჩავთვალოთ გერმანული კლასიკური სკოლის წარმომადგენლები ი. ტიუნენი და გ.მონჰალდტი, ასევე ფრანგი ეკონომისტი ჟან ბაბტისტ სეი, რომელიც საკუთარ ნაშრომში იზიარებს და ავითარებს რ. კანტილიონის აზრს, რომელიც მეწარმეობის სამ მთავარ ფაქტორად მიწას, შრომას და კაპიტალს თვლიდა. [3]

ავსტრიელი ეკონომისტი ჯოზეფ შუმპეტერი (1883-1950), მეწარმეობას განიხილავდა, როგორც ეკონომიკური განვითარების მექანიზმის ცენტრალურ ელემენტს. მისი აზრით, ეკონომიკური განვითარების საფუძველია მეწარმის განსაკუთრებული ფუნქცია, გამოიყენოს წარმოების ფაქტორთა „ახალი კომბინაცია“, რის შედეგადაც მიიღება სიახლე, ინოვაცია. იგი ახასიათებს ასეთი კომბინაციებიის შემდეგ ხუთ სახეობას: ახალი სახეობის საქონლი დამზადება; წარმოების ახალი მეთოდებისა და გასაღების ახალი ფორმების დანერგვა; ახალი ბაზრების ათვისება; ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების ახალი წყაროების აღმოჩენა; რეორგანიზაციის ჩატარება.

[2] რ. გველესიანი, ე.მექვაბიშვილი - მეწარმეობის თეორიული საფუძვლები. თბ., 2009, გვ. 12
[3] გ. ერქომაიშვილი, მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებანი საქართველოში, თბ., 2004, გვ. 7

ჯოზეფ შუმპეტერი მეწარმეებს „ეკონომიკის რევოლუციონერებს“ უწოდებს, მისი გავლენით ეკონომიკურ თეორიაში სამეწარმეო უნარი სპეციფიკურ რესურსად, წარმოების მეოთხე ფაქტორად იქნა აღიარებული.[4]

მეწარმეობის შესახებ თანამედროვე თეორიები გამომდინარეობენ ნეოკლასიკური მიკროეკონომიკიდან და ისინი ცდილობენ განსაზღვრონ ოპტიმალური არჩევანი მეწარმეობასა და დასაქმებას შორის. მათი შეხედულებები ძირითადად განსხვავდებიან ორი ნიშნით:

1. ისინი იღებენ ფ.ჰ. ქნაითის მტკიცებას, რომ ადამიანები მეწარმეები ხდებიან არჩევანის გამო. არჩევანი, რომელიც ემყარება სარგებლიანობის მაქსიმიზაციის პარადიგმას, ნიშნავს, რომ ადამიანებს სურთ იყვნენ მეწარმეები იმის გამო, რომ ის მაღალანაზღაურებადი დასაქმებაა და მოსალოდნელი შემოსავალი მეტია.

2. თანამედროვე ეკონომიკური თეორიების თანახმად ბაზრებზე სრულყოფილი კონკურენციაა, ტექნოლოგია მოცემულია და მიმწოდებელთა ბაზრის ყველა მონაწილე ფასის მიმღებია. ეს ძირითადად მოცემულია გამარტივების მიზნით. [5]

რაც შეეხება სამეწარმეო საქმიანობას საქართველოს კანონით მეწარმეთა შესახებ იგი განისაზღვრება შემდეგნაირად: სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. სამეწარმეო საქმიანობად არ ითვლება ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა), სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა;

---

[4] ერქომაიშვილი გ. მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებები საქართველოში, თბილისი, 2004 წ.

[5] რ. გველესიანი, ე. მექვაბიშვილი, ი. გაგნიძე, ე. ლეკაშვილი, მ. ნაცვალაძე, მეწარმეობის თეორიული საფუძვლები, ნაწილი I-II, თბ. 2009, გვ. 11

რა არის აუცილებელი მეწარმის წარმატებისთვის? ცხადია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია ბევრი კუთხით. შესაძლოა ვისაუბროთ იმაზე, რომ მთავარია სამეწარმეო უნარი ან მაკროეკონომიკური გარემო, ბევრი შესაძლოა მიკროდონეზე არსებულ ეფექტიანობასა და მოთხოვნის სტრუქტურას თვლიდეს მთავარ უპირატესობად. აუცილებელია ამ მსჯელობისას გავითვალისწინოთ პროდუქტის სამი ძირითადი მახასიათებელი : ფასი, ხარისხი და სერვისი. ყველაზე მეტად ამ სამ პუნქტს აკმაყოფილებს ინოვაციურობა, შესაბამისად შეგვიძლია ჩავთვალოთ რომ ინოვაციურობა ყველაზე მეტად აძლევს უპირატესობას მეწარმეს სხვა მეწარმეებთან შედარებით.[6]

როგორ უნდა შევუწყოთ ხელი მეწარმეობის განვითარებას? კითხვა საკმაოდ საკამათოა. სახელმწიფო ინტერვენციონიზმის მომხრეები მოითხოვენ სხვადასხვა სახის შეღავათებს, დაბალი გადასახადების დაწესებას ან მის სრულად გაუქმებას, უკიდურესი სახეა იმპორტული პროდუქციის შეზღუდვა. თავისუფალი ბაზრის მომხრეთა აზრით, კი არანაირი შეღავათი და წახალისებაა საჭირო, მთავარია თავისუფალი საბაზრო მექანიზმის არსებობა. ამ შემთხვევაში,უხილავი ხელი თვითონ მოაწესრიგებს ყველაფერს. ის, ვინც საკმარისად არ არის მზად იყოს ბაზარზე, დატოვებს მას, ხოლო ის, ვისი პროდუქტიც კონკურენტუნარიანია განვითარების შესაძლებლობასაც მიიღებს.

ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელი წლებია ეკონომიკური პოლიტიკის მთავრ მიზანს წარმოადგენს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება. ამის მიზანია, საქართველომ დაიწყოს ეკონომიკის სწრაფი და სტაბილური ზრდა. მეწარმეობის განვითარება საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს საქართველოში სამუშაო ადგილების შექმნას და შეამცირებს შრომისუნარიან მოსახლეობაში უმუშევრობას.

[6] *Service quality and customer satisfaction: qualitative research implications for luxury hotels* – Carl Lu, 2015.

ძლიერი და განვითარებული კერძო მეწარმეობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტის განვითარებას, ინოვაციებს და ამ ინოვაციების საფუძველზე მეწარმეობის დაწყებას, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას. განვითარებული კერძო მეწარმეობის ფარგლებში იზრდება ქვეყნის საერთო კეთილდღეობის დონე. საქართველოში მეწარმეობა იმავე ტიპის გამოწვევების წინაშე დგას რა გამოწვევებიც მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებში გვხვდება.

სამეწარმეო იდეა შეიძლება წარმოიშვას ნებისმიერ ადგილას. ხოლო, მეწარმე შეიძლება გახდეს ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც შეუძლია გარკვეული რისკის საკუთარ თავზე აღება.

მეწარმეობა არ მოითხოვს განსაკუთრებულ შემოქმედებით ნიჭს. თითოეული ადამიანი დაბადებიდანვე ყოველდღიურად შემოქმედებით საქმიანობას ეწევა. უბრალოდ, ყველას არ აქვს ეს შემოქმედებითობა.

იდეის წარმოშობის შემდეგ, მეწარმე ეძებს დაფინანსების წყაროს. ეს შეიძლება იყოს საკუთარი კაპიტალი,ბანკიდან კრედიტი,სხვადასხვა საფინანსო დაწესებულება ან სხვა წყაროები,როგორებიცაა სახელმწიფო გრანტები, სხვადასხვა ფონდები და ა.შ. [7]

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწორად შედგენილ ბიზნეს გეგმას. მასში კარგად უნდა იყოს ჩამოყალიბებული და გაწერილი სამოქმედო გეგმა, რა არის მეწარმის მიზანი და ამოცანები, როგორ აქვს განაწილებული ბიუჯეტი, მარკეტინგული კუთხით რა სეგმენტის დაკავებას აპირებს ფირმა, წინასწარი წარმოდგენა უნდა ქონდეს ლოჯისტიკაზე, მომარაგებაზე, ვინ იქნება მისი მიმწოდებელი. ბიზნეს გეგმა ეხმარება მეწარმეს სწორად განსაზღვროთს თუ რა რაოდენობის დრო და რესურსებია საჭირო იდეის განსახორციელებლად.

[7] ერქომაიშვილი გ. მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებები საქართველოში , თბილისი, 2004 წ.

სანამ ბიზნეს გეგმა შედგება, იქამდე უნდა ჩატარდეს მოსამზადებელი სამუშაოები. წინასწარ უნდა დადგინდეს სეგმენტი, რომელიც მეწარმის პოტენციური მომხმარებლები იქნებიან და ასევე, განისაზღვროს სავარაუდო გაყიდვების რაოდენობაც, რაზეც შემდეგ უკვე აიგება ხარჯებისა და შემოსავლის უნდა მოხდეს,ბაზრისა და კონკურენტების საფუძვლიანი ანალიზი .უმნიშვნელოვანესია ფინანსური კუთხით გათვლების გაკეთება.

ბიზნეს იდეისა და ბიზნეს გეგმის ჩამოყალიბების შემდეგ, მეწარმემ უკვე მის რეგისტრაციაზე უნდა იზრუნოს. საქართველოს კანონით მეწარმეთა შესახებ შემდეგი სახის ეკონომიკური სუბიექტები არსებობს:

1) *ინდივიდუალური მეწარმე*
2) *სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს)*
3) *კომანდიტური საზოგადოება (კს)*
4) *შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)*
5) *სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია)*
6) *კოოპერატივი.* [8]

გიუნტერ ფალტინი, თავის წიგნში „ გონება ამარცხებს კაპიტალს“ გამოყოფს 7 ტიპის ტექნიკას წარმატებული იდეის კონცეფციისთვის: [9]

1. ***აღმოაჩინე პოტენციალი უკვე არსებულში.*** წარმატებული სამეწარმეო პროექტი ხშირად ინოვაციურია, რაღაც ახალის შექმნის გარეშე. ინოვაცია მდგომარეობს რეკომბინაციაში. როგორც შუმპეტერმა დახატა განსხვავება ინოვაციასა და გამოგონებას შორის. ამავდროულად, უნდა აღვნიშნოთ, რომ ხშირად, უამრავი დრო მიაქვს დიდი გამოგონებების ბაზრებისათის

[8] https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408 - საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ
[9] Guenter Faltin - Brain Versus Capital , 2013 თებერვალი

მომზადების პროცესს. არც მათი მნიშვნელობის წარდგენის პროცესი არის მარტივი.

2. ფუნქცია და არა ტრადიცია. მეწარმეებს შეუძლიათ გათავისუფლდნენ ტრადიციებისგან. ეს ნიშნავს, რომ არსებობს წარმატების პირობა, თუ ყველაფერს, რასაც თავის ადგილზე ვიპოვით, განვიხილავთ, როგორც ტრადიციას, სანამ საპირისპირო არ დამტკიცდება. მე უშიშრად გამოვიკვლევ პროცესებს და ვკითხავ საკუთარ თავს: ის, რაც გონივრულად მიიჩნეოდა წარსულში, შეიძლება ორგანიზებულ იქნეს უფრო ადვილად თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. მე არ ვჩერდები მომსახურების ან პროდუქციის ოდნავ გაიაფებაზე, გაუმჯობესებაზე, უფრო ქმედითად ან მეგობრულად გახდომაზე, არამედ ვუპირისპირდები მთლიან პროცესს, ანუ, ვიწყებ ფუნდამენტურ გადახედვას, როგორ შეიძლება არსებულ პირობებში ფუნქციების ორგანიზება.

ფუნქცია და არა ტრადიცია, არ მოითხოვს დიდ ცოდნას, საკმარისია მხოლოდ სკრუპულოზური აზროვნება და ობიექტური ინდეფერენტულობა წარსულის მიმართ.

3. არსებულის ახლებურად კომბინირება. ნაცნობი კომბინაციებით მიიღებ უფრო ეფექტიან შედეგს, უფრო იაფად. აქ მთავარია სისტემური ფიქრი.

4. ერთზე მეტი ფუნქციის შესრულება. თანამედროვე საზოგადოებებში, რომლებსაც ახასიათებს შრომის დანაწილება, უფრო მეტი ფუნქციაა განცალკევებული ერთმანეთისაგან. შედეგად კი მოსდევს იზოლაცია და მარტოობის შეგრძნება საზოგადოებაში.

უნარს ისარგებლო ერთზე მეტი დანიშნულებით,მნიშვნელოვანი ეკონომიკური უპირატესობები აქვს. რეინტეგრაციას მოაქვს არამხოლოდ ეკონომიკური უპირატესობები,არამედ ის ასრულებს დადებით სოციალურ

ფუნქციას. იგი ზღუდავს იზოლაციას,აერთიანებს ხალხს,რომელთაც სხვა შემთხვევაში, ნაკლები საერთო ექნებოდათ.

5. პრობლემების როგორც შესაძლებლობების დანახვა. პრობლემები მათი გადაჭრის გზების, საუკეთესო სატყუარაა. დამწყებთათვის: როდესაც ყველა შეწუხებულია იმით, რომ წვიმას იწყებს, მეწარმე ამბობს: ახლა საუკეთესო დროა ქოლგების გასაყიდად. უფრო განვითარებულთათვის: როდესაც ბერლინის კედელი დაეცა, გამოჩნდენ ადამიანები, რომელთაც ჩვენ „კედლების კოდალებს“ ვეძახით. ისინი ცდილობდნენ, შეექმნათ სუვენირები ბეტონისაგან. ჩაქუჩების უმეტესობა ამ ამოცანას ვერ უმკლავდებოდა. სინამდვილეში რა გჭირდებოდათ? საჭრისი, ამიტომაც შეგეძლოთ დიდი რაოდენობის საჭრისი დაგემზადებინათ გასაყიდად.

ის რაც ტრადიციულ ეკონომისტს და მეწარმეს განასხვავებს,მეწარმე აღიარებს პოტენციალს მიუხედავად იმისა, რომ ის არ ჯდება ტრადიციულ ეკონომიკურ პარადიგმაში.

6. საქმის მხიარულებად და გასართობად გადაქცევა. წარმოიდგინეთ ლუდხანა, სადაც სტუმრები თვითონ ისხამენ ლუდს, ან დასვენება ფერმაში სადაც ვიზიტორებს შეუძლია ძროხის მოწველა. ფერმერის ცოლისთვის, რომელიც დღეში უამრავ ძროხას წველის, ეს დიდი სამუშაოა, თუმცა ვიზიტორისთვის ეს დიდი თავგადასავალია.

7. ბიზნესიდეების რეალობად ქცევა. საუბედუროდ, ყველა მეოცნებეს არ უწერია ცხოვრების განმავლობაში საკუთარი იდეების წარმატებულ კომპანიად გადაქცევა. თუმცა ზოგს უმართლებს. მაგალითად, ჰენრი ფორდი, რომელმაც 18 წელი იმუშავა საკუთარ იდეაზე და საბოლოოს წარმატებასაც მიაღწია.

1.2 სახელმწიფოს როლი მეწარმეობის ხელშეწყობაში

ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს მიმართულებას ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებში, უნდა წარმოადგენდეს კერძო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა. მეწარმეობა წარმოშობს ახალ კომპანიებს, ახალ სამუშაო ადგილებს, პერსპექტივებს უმუშევარი ადამიანებისთვის, აყალიბებს ბაზარს და ხდის მას კონკურენტუნარიანს.

ზოგიერთის აზრით, მეწარმეობის განვითარებაში სახელწიფო ძლიერად უნდა ჩაერიოს, დაიცვას კონკრეტული დარგები და შეზღუდოს იმპორტი. სხვების აზრით საკმარისია მხოლოდ ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბება და პატერნალიზმი საჭირო არაა. იგი პირიქით მოქმედებს, ეცემა ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და პროდუქციის ხარისხი.

ჩვენი აზრით, მეწარმეობის განვითარების კუთხით სახელმწიფოს როლი მხოლოდ გარკვეული მიმართულებით უნდა ვითარდებოდეს. ეს გულისხმობს იმას, რომ მან მონაწილეობა უნდა მიიღოს ბიზნესის მაკროგარემოს ჩამოყალიბებაში. სახელმწიფომ პირველ რიგში უნდა დაიცვას საბაზრო ეკონომიკის წესები და არ დაუშვას საკუთარი გავლენის ხარჯზე მონოპოლიების ჩამოყალიბება. ამასთან აუცილებელია, რომ მან უზრუნველყოს საკუთრების უფლების დაცვა, კონკურენტული გარემოს ფორმირება და მისი დაცვა, როგორც შიდა ასევე გარე ფაქტორებისგან. ზემოაღნიშნული არ უნდა იყოს ერთჯერადი, შესაბამისად, საჭიროა საბაზრო კონიუნქტურის მუდმივი გაუმჯობესება და მისი მორგება თანამედროვეობასთან. დროის დინებასთან ერთად იცვლება მოთხოვნები საზოგადოებაში და შესაბამისად წლების გასვლასთან ერთად აუცილებელია იხვეწებოდეს და ერგებოდეს ქვეყნის შიდა გარემოს მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა.

მეწარმეობის ხელშეწყობა სახელმწიფოს პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს. მთავრობის პოლიტიკა უნდა მოიცავდეს ყველა კომპონენტს, რომელიც ასტიმულირებს სამეწარმეო საქმიანობას. გასაქანი უნდა მიეცეს ბუნებრივად ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ ზრდას და მაქსიმალურად შორს უნდა გადგეს. უნდა ეცადოს არ ჩაერიოს ეკონომიკაში და არ შექმნას ხელოვნური ბარიერები. ეკონომიკური პოლიტიკა უნდა მოიცავდეს ინდუსტრიის ყველა დარგს და არა მხოლოდ კონკრეტულებს, მაგალითად, მაღალ ტექნოლოგიებს ან მხოლოდ სოფლის მეურნეობას, ან მხოლოდ მცირე და საშუალო მეწარმეობას და არა მსხვილ მეწარმეობას. მთავრობა არ უნდა იყოს შემზღუდველი. პირიქით, ის უნდა იყოს გარანტი იმისა, რომ თავისუფლება და საკუთრების უფლება იქნება დაცული.

სახელმწიფო ყველაფერს უნდა აკეთებდეს იმისთვის, რომ დამწყებ და უკვე არსებულ მეწარმეებს მისცეს საშუალება ორიენტირებულნი იყვნენ თავისუფალ ვაჭრობასა და მსოფლიო ბაზარზე. როგორც ზემოთ აღვნიშნე თავისუფალი ვაჭრობა მიიღწევა მთავრობის მიერ გატარებული სწორი და არადისკრიმინაციული ეკონომიკური პოლიტიკით. რაც შეეხება მსოფლიო ბაზარს. ეს არის ბაზარი, რომელზე მოხვედრასაც ცდილობს ნებისმიერი მეწარმე. ეს არის მაქსიმალური შესაძლებლობების ბაზარი. ამ ბაზარზე არის ყველა ტიპის მომთხოვნი და ასევე ყველა ტიპის მიმწოდებელი. შესაბამისად, სახელმწიფო უნდა ცდილობდეს მეწარმეებს ხელი შეუწყოს ამ ბაზარზე მოხვედრაში. ეს შეიძლება მოხდეს ექსპორტის ხელშწყობით და ქვეყნის პროდუქტის მსოფლიო ბაზარზე პოპულარიზაციით.

გარდა ამისა ხელსაყრელი გარემო უნდა შეიქმნას ქვეყანაში შიდა ინვესტიციების სტიმულირებისათვის და უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. ინვესტიციების სტიმულირება მთავრობამ უნდა მოახდინოს ბიზნესის დაწყების გამარტივებით, გადასახადების შემცირებით, დამწყები მეწარმეებისთვის მცირე პრივილეგიების მინიჭებით.

მდგრადი ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებაში უდიდეს მნიშვნელობას იძენს ქვეყანაში არსებული ინფლაციური პროცესები და მონეტარული სტაბილურობა. როდესაც მოსახლეობა იმედის თვალით უყურებს მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს, ცდილობენ ინვესტიციების განხორციელებას. როდესაც ბიზნესის დასაწყებად ხელსაყრელი გარემო იქმნება ქვეყანაში ეს ასტიმულირებს უცხოურ ინვესტიციებსაც. ასეთ დროს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა დადებით ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ და უფრო მეტი ნდობისთვის მისი დამოუკიდებლობა კონსტიტუციითაც უნდა იყოს გარანტირებული.

რაც შეეხება მეწარმეობის სტიმულირებას ფისკალური პოლიტიკით, ზოგიერთი ქვეყანა მიმართავს გადასახადების შემცირებას და გარკვეულ შემთხვევებაში ახდენს საგადასახადო შეღავათების შემოღებას.

შეიძლება ამ საკითხს სკეპტიკურად მივუდგეთ და ვთქვათ, რომ მეწარმის გათავისუფლება გადასახადებისგან არ ასტიმულირებს მის საქმიანობას. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ თუ მეწარმეს მოგება დარჩება იმის ხარჯზე, რომ არ გადაიხდის გადასახადებს, იგი შეწყვეტს საკუთარი საწარმოს განვითარებას და დაჯერდება იმ მოგებას, რასაც ამ შეღავათებით მიიღებს. ჩვენ ვთვლით, რომ ამ მოსაზრებას არსებობის უფლებაც არ აქვს, რადგან ბიზნესი და მეწარმეობა, რისკზე დაფუძნებული საქმიანობაა, რომელიც მრავალჯერადად ხორციელდება მოგების მისაღებად და როგორც კი მეწარმეს და ზოგადად ადამიანს უჩნდება შანსი მიიღოს უფრო მეტი სარგებელი კონკრეტული საქმიანობისგან, იგი აუცილებლად გამოიყენებს ამ შანსს. სწორედ, ამიტომ ბიზნესის გადასახადებისაგან გათავისუფლება შეიძლება სულაც არ იყოს მისთვის მოდუნების საშუალება და მომავალში საწარმოო პროცესების შებოჭვის სტიმულატორი.

აუცილებლად უნდა განვიხილოთ და არ უნდა გამოგვრჩეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროს მნიშვნელობაც ქვეყნის სამეწარმეო და ინოვაციური პოტენციალის გასაზრდელად. თანამედროვე მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში

სახელმწიფო ბიუჯეტის საკმაოდ დიდ ნაწილს შეადგენს ხარჯები განათლებასა და სამეცნიერო საქმიანობაზე. ისინი სწორად საზღვრავენ ტექნოლოგიური პროგრესის მნიშვნელობას როგორც საკუთარი ქვეყნისათვის, ასევე მსოფლიოსათვის.

გარდა იმისა, რომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს განათლების სფეროს და მისი განვითარებისკენ მიმართოს საბიუჯეტო სახსრების დიდი ნაწილი. ამასთან აუცილებელია რომ უზრუნველყოს საგანმანათლებლო სისტემის თავისუფლების ხარისხის ზრდა. ბევრ განვითარებად ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, საგანმანათლებლო სისტემა იმდენად ცენტრალიზებულია, რომ ხდება საჯარო სკოლებში ერთი და იმავე პროგრამით სწავლება. ეს გამორიცხავს წინსვლას საგანმანათლებლო სექტორში. როგორც მეწარმეა უფრო პროდუქტუნარიანი თავისუფალი წარმოებისას, ისევეა ადამიანი განათლების მიღებისას. რაც უფრო მეტად გათავისუფლდება სახელმწიფო რეგულაციებისგან საგნმანათლებლო სისტემა, მით უფრო მრავალფეროვანს და გავნითარებულს მივიღებთ მას.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც როგორც ხელშემწყობი შეიძლება აღმოჩნდეს მეწარმეობის განვითარებისთვის, ასევე შეიძლება დამღუპველიც იყოს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტორი არაეკონომიკურია, უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლია ეკონომიკურ აქტივობაზე. ესაა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა. როდესაც ქვეყანა საომარ ვითარებაშია ეს იძლევა არასტაბილურობის შეგრძნებას. ყველა დამწყები მეწარმე და ინვესტორი ცდილობს არ გარისკოს საქმიანობის დაწყება და საკუთარი დანაზოგი შეინახოს რათა საომარი ვითარებების დაწყებისას მთლიანად არ დაკარგოს იგი. ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდა საქართველო 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ, როდესაც მოხდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების მიტაცება. მას შემდეგ საქართველომ შეძლო და დაიბრუნა ასე თუ ისე სტაბილური ეკონომიკური განვითარება, თუმცა დღესაც ქვეყანა ოკუპირებულია და ვიღაცისთვის შეიძლება ეს აღმოჩნდეს საკმარისი მიზეზი იმისთვის რომ თავი შეიკავოს საქართველოში წარმოების დაწყებისგან. ასეთ დროს

უნდა ხდებოდეს სხვა ფაქტორებით მეწარმეობის სტიმულირება და ეს ის ფაქტორებია რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

ამასთან უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ გარდა საგარეო ფაქტორისა, ასევე უდიდეს მნიშვნელობას თამაშობს ქვეყანაში არსებული სტაბილური პოლიტიკური ვითარება მეწარმეობის დაწყებისას. მაშინ, როდესაც ქვეყანაში სწრაფად იცვლება ხელისუფლებები და ხშირ შემთხვევაში ეს ხდება რევოლუციური სცენარით, ან მასობრივი საპროტესტო აქციების შემდგომ, ეს შეიძლება გახდეს მსხვილი ინვესტორებისთვის ინვესტიციის განხორციელებისთვის ხელშემშლელი ფაქტორი. ყოველი ახალი მთავრობის მოსვლა ხელისუფლებაში შეიძლება გახდეს მიზეზი კანონმდებლობის ცვლილების. კანონმდებლობის ცვლილება კი ხშირ შემთხვევაში ეკონომიკაზე გავლენას ახდენს. კანონმდებლობის საშუალებით რეგულაციების გამკაცრება უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე. საქართველოს რეალობას თუ შევხედავთ, ყოველი ახალი ხელისუფლება ცდილობს ცვლილებების შეტანას, როგორც კანონმდებლობაში, ასევე კონსტიტუციაში. ასეთი ქმედებები ყოველთვის უარყოფითად აღიქმება მეწარმეებისა და ინვესტორების მხრიდან. მშვიდობა ქვეყანაში მნიშვნელოვანია, როგორც შიდა, ასევე უცხოელი ინვესტორისათვის.

მარტივი მაგალითისთვის განვიხილოთ 2011 წელს საქართველოს კანონში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შესული ცვლილება, რამაც მონოპოლიური უპირატესობა მიანიჭა შპს „საქართველოს ფოსტა“-ს.[10] ამ კანონის ამოქმედებისთანავე შპს „კსკ“-მ კოლოსალური თანხა 700 000 ლარზე მეტი დაკარგა გამომდინარე იქიდან, რომ მისი კონტრაქტი იუსტიციის სამინისტროსთან გაუქმდა.[11] ასეთი ფაქტები ქმნიან არასაიმედო განწყობას ინვესტორებში და სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა ცადოს მსგავსი ცვლილებების შეტანისგან თავის შეკავება.

---

[10] საქართველოს კანონი “ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ „ თავი 1, მუხლი 1, პუნქტი 3[1]

[11] https://imedinews.ge/ge/sagartvelo/3012/sakonstitutsio-sasamartloshi-sagartvelos-postis-tsinaagmdeg-sarchels-ganikhilaven

სახელმწიფოს შეუძლია დამწყებ მეწარმეებს დაეხმაროს და კონსულტაციები გაუწიოს ბიზნეს საქმიანობის დაწყების წინ. ეს შეიძლება იყოს ბიზნეს გეგმის შედგენისას დახმარება. მოგეხსენებათ, რომ ჩვენს ქვეყანაში სკოლებში ბიზნესის და ეკონომიკის კუთხით სწავლება არ ხდება, შესაბამისად, თუ ადამიანი უმაღლეს სასწავლებელში ან კერძოდ არ დაეუფლა ამ საქმიანობას, რთულია მისთვის ბიზნეს გეგმის შედგენა. სახელმწიფოს ასევე შეუძლია კერძო მეწარმეებს იურიდიული კონსულტაცია გაუწიოს და ასევე მარტივად აუხსნას საგადასახადო სისტემის შესახებ. ბევრი მეწარმისთვის უდიდეს ბარიერს წარმოადგენს იურიდიული ცოდნის არ ქონა და საგადასახადო სისტემაში გარკვევა. თუ სახელმწიფო ამაში დაეხმარება მათ ეს იქნება კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი ბიზნესის განვითარებისკენ. ასევე შეუძლია ტექნიკისა და ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება თუ სხვა რამ. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო უშუალოდ არ ერევა ბიზნეს საქმიანობაში, თუმცა ცდილობს წაიყვანოს ის სწორი კუთხით და დამწყებ მეწარმეებს დაეხმაროს სწორი მიმართულების არჩევაში. ხშირად არის როცა დამწყებ მეწარმეს აქვს ძალიან კარგი იდეა, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები მისთვის ბარიერად აღიმართება და ვერ იწყებს მეწარმეობას.

2014 წლის დიდი ოცეულის შეხვედრის ბოლო კომუნიკე მიეძღვნა ეკონომიკურ ზრდას, რომელიც მიიღწეოდა კონკურენციის, მეწარმეობის დ ინოვაციების განვითარებითა და ხელშეწყობის საკითხებს. ქვეყნებისათვის მნიშვნელოვანია უმუშევრობის შემცირების სტრატეგიები, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის. ამ პრობლემის გადასაჭრელად, სახელმწიფოებმა უნდა იზრუნონ ახალგზარდებში სამეწარმეო უნარების გასავითარებლად, რაც ამავდროულად დიდადაა დამოკიდებული საგანმანათლებლო სისტემაზე. [12]

[12] გ. ერქომაიშვილი - რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა, თბილისი 2019 წ. გვ. 16-17

მრავალი რეკომენდაციები არსებობს მთავრობებისათვის ამ კუთხით. აღმოსავლეთ ავსტრალიის უნივერსიტეტის ეკონომისტის ტ.მაზაროლის რეკომენდაციები საუბრობს შემდეგი სახის რეკომენდაციებზე.[13]

1. სამეწარმეო საქმიანობა სახელმწიფოს პრიორიტეტი უნდა გახდეს.

2. უნდა დავრწმუნდეთ, რომ სამთავრობო პოლიტიკა ფართოა და გარემო სისტემის ყველა კომპონენტს მოიცავს.

3. გასაქანი მივცეთ ბუნებრივად ჩამოყალიბებულ ზრდას და არ ვეცადოთ ახალი ინდუსტრიების ხელოვნურად ჩამოყალიბებაზე.

4. სამთავრობო პოლიტიკა მორგებული უნდა იყოს ყველა ინდუსტრიაზე, არამხოლოდ მაღალტექნოლოგიურ სფეროზე.

5. სახელმწიფო უნდა იყოს ლიდერი პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და გატარების დროს, თუმცა პასუხისმგებლობების და საკუთრების დელეგირება უნდა მოხდეს.

6. განავითაროს პოლიტიკა,რომელიც მიემართება როგორც ბიზნესის გასავითარებლად და ასევე მის მენეჯმენტს,როგორც მეწარმეებს.

ისევე როგორც მთელ დანარჩენ ცივილიზებულ მსოფლიოში, საქართველოშიც კარგად აცნობიერებენ მეწარმეობის განვითარების საჭირობას. თუმცა, სამეწარმეო ეკოსისტების გასავითარებლად კიდევ ძალიან ბევრი ნაბიჯია გადასადგმელი, როგორც ინსტიტუციურად ასევე სოციალურ - კულტურის მიმართულებით.

საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ რთული პერიოდი გაიარა. 1990-იან წლებში დაიწყო გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა,

[13] Growing and sustaining entrepreneurial ecosystems: What they are and the role of government policy, Tim Mazzarol, University of Western Australia

რასაც თან ახლდა როგორ ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური პრობლემები. პრივატიზაციის პროცესი არც თუ ისე გამჭირვალედ მიმდინარეობდა, მაღალი იყო ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი. მრავალი საწარმო იძულებული იყო, შეეჩერებინა საქმიანობა ხოლო ვადაგადაცილებული დავალიანების მქონე საწარმოების რიცხვი მკვეთრად მატულობდა რამდენიმე მიზეზის გამო: მათ პროდუქციას არ ჰქონდა ბაზარი, საწარმოს ასამუშავებლად არ არსებობდა საკმარისი კაპიტალდაბანდება, ხელმძღვანელობას არ გააჩნდა საბაზრო ეკონომიკის საკმარისი გამოცდილება, საბანკო სისტემა ვერ პასუხობდა ბიზნესის მოთხოვნებს, მათი საპროცენტო განაკვეთები ხელმიუწვდომელი იყო ბიზნესისათვის და სხვ. 1999 წელს 16 ათასზე მეტი საწარმოს დავალიანებამ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე 338.4 მილიონი ლარი შეადგინა, რაც იმ პერიოდში სახელმწიფო შემოსავლების ნახევარზე მეტს შეადგენდა”[14].

სამეწარმეო პოლიტიკის მიმართულებით შეადრებით საინტერესოა ვარდების რევოლუციის შემდგომი პერიოდი, როდესაც დაიწყო რეალური რეფორმები ეკონომიკაში. 2004 წლის 17 თებერვლის საქართველოს მთავრობის პროგრამის “ერთიანი და ძლიერი საქართველოსთვის ეკონომიკური ზრდის, გრძელვადიანი სტაბილურობისა და ევროინტეგრაციის გზით” შესაძლებელია ამოვიკითხოთ, რომ ქვეყანაში სამეწარმეო გარემოს განვითარება პრიორიტეტია: “ეკონომიკური ზრდა სახელმწიფოს აღორძინების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს როგორც განვითარების თვალსაზრისით, ისე ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად და ევროპაში ინტეგრაციის პროცესების დასაჩქარებლად. წარმატების მისაღწევად საქართველოში უნდა მკვეთრად გაუმჯობესდეს საინვესტიციო გარემო და შეიქმნას მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა განვითარების შესაძლებლობები. აღნიშნული ამოცანა მოიცავს სპეციფიკურ სტრუქტურულსა და საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელთა კვალობაზეც მოხდება საგადასახადო სისტემის გამარტივება, საბაჟო

[14] მოხსენება ვადაგადაცილებულ დავალიანებათა შესახებ. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის გამოკვლევები. თბ., 1998. გვ. 24.

პროცედურების გაუმჯობესება, ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, კერძო საკუთრების დაცვის მყარი და ხელშეუხებელი გარანტიების შექმნა და სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან ბიზნესში გაუმართლებელი და უხეში ჩარევის აღკვეთა."[15]

სამეწარმეო გარემოსთან დაკავშირებით ლიბერალური მიდგომები გვხვდება მთავრობის სტრატეგიის მომდევნო დოკუმენტებშიც.

2011 წელს საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა „საქართველოს სტრატეგიული განვითარების „ათპუნქტიანი გეგმა" მოდერნიზაციისა და დასაქმებისთვის (2011-2015)." სადაც მესამე პუნქტად მოცემულია: საუკეთესო საინვესტიციო და ბიზნესგარემოს შექმნა/შენარჩუნება.

კორუფციის შედეგად სახელმწიფო თანხების არაგონივრული ხარჯვა და **შესყიდვების სფეროში** საქმიანობის ხარვეზები მთელი მსოფლიოს წინაშე გამოწვევად რჩება. ეს პრობლემა განსაკუთრებით იმ ქვეყნებში იჩენს, რომლებიც განვითარებადი ქვეყნების რიგში შედიან. ასეთი ქვეყნების რიგს განეკუთვნება საქართველოც. ამ პრობლემის მოსაგვარებლად და შესყიდვების სისტემის უკეთესად და ეფექტურად ფუნქციონირებისთვის, გადაწყდა, რომ რეფორმები გატარებულიყო. 2010 წლიდან საქართველოში დაიწყო ამ სისტემის სრული მოდერნიზაცია და 2010 წლის ბოლოდან, სახელმწიფო შესყიდვების სისტემა მთლიანად ელქტრონულ შესყიდვებზე გადავიდა.[16]

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო"-მ შეაფასა და გააანალიზა ამ ახალი სისტემის სუსტი და ძლიერი მხარეები. იმ პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მჭიდროდ თანამშრომლობდა ამ ორგანიზაციასთან. აღნიშნული

[15] "ერთიანი და ძლიერი საქართველოსთვის ეკონომიკური ზრდის, გრძელვადიანი სტაბილურობისა და ევროინტეგრაციის გზით", სამთავრობო პროგრამა , 2004 წელი
[16] http://procurement.gov.ge/

ორგანიზაცია ყოველწლიურად აქვეყნებს საკუთარ ანგარიშს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით. [17]

ახალი სისტემის შემოღება დადებით მოვლენად შეფასდა გამომდინარე იქიდან, რომ იგი ხელს შეუწყობდა კორუფციის შემცირებას და ამასთან გაზრდიდა ეფექტურობასა და კონკურენციას სახელმწიფო შესყიდვებში.

საკანონმდებლო ბაზა ძირითადად ევროკავშირის რეგულაციებს ემთხვევა და არის შემთხვევები, სადაც ქართული კანონმდებლობა გაცილებით მაღალ სტანდარტებს აწესებს ვიდრე ევროკავშირის წევრი ქვეყნები.

2010 წლის შემდგომ, თითქმის ყოველწლიურად (და შესაძლოა უფრო ხშირადაც) შედის ცვლილებები სახელმწიფო შესყიდვების კანონში და მის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში. ცხადია სისტემის შემოღებისას რთული იყო მისი სრულფასოვნად მორგება ქართულ რეალობასთან და ქართულ ბაზართან, თუმცა ამ წლების განმავლობაში ხდებოდა კონსულტაციები როგორც კერძო სექტორთან, ასევე სახელმწიფო ორგანიზაციებთან და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ყოველთვის ცდილობდა გაეთვალისწინებინა ის ხარვეზები, რომლებიც შესყიდვების პროცესში იჩენდა თავს.

ერთერთ ასეთ შეთანხმებად შეგვიძლია მივიჩნიოთ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის კონკრეტული შესყიდვის ობიექტებზე გამარტივებული შესყიდვის დაშვება. აღნიშნულის დაშვება მოხდა უმაღლესი სასწავლებლებისთვის სასწავლო და სამეცნიერო პროცესის შეუფერხებლად ჩატარების მიზნით. შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება და უმაღლეს დაწესებულებებს მიეცათ უფლება რომ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეისყიდონ: ლიტერატურა (ბეჭდურის, ელექტრონულ ან

[17] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო - სახელმწიფო შესყიდვების ანგარიშ 2015 წელი

აუდიოვიზუალურ მატარებელზე განთავსებულის), რეაქტივები , კომპიუტერული პროგრამები, ფარმაცევტული პროდუქტი (სამკურნალო საშუალების), ლაბორატორიული აღჭურვილობისა და მონაცემთა ბაზები შესყიდვას.[18]

ცხადია დღევანდელ სისტემას აქვს მინუსებიც. საქართველოს შესყიდვების სისტემაში არსებულ მინუსებად შეიძლება განვიხილოთ ის ფაქტი, რომ სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში არ არიან ჩართულები პრეზიდენტის ფონდი, სახელმწიფო კუთვნილებაში არსებული კომპანიები და გარდა ამისა თავდაცვის სამინისტროს ხარჯვითი ნაწილი (აღნიშნული შესაძლოა გამოწვეული იყოს იმით რომ სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ინფორმაციის საჯაროდ გავრცელება შეიზღუდოს).[19]

ზემოაღნიშნული ჩართულნი არ არიან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში, შესაბამისად ვერ ხერხდება მათი ჩართვა იმ კონკურენციაში, რომელიც ელექტრონულ სისტემაში ქართველ მეწარმეებს აქვთ გაჩაღებული.

როდესაც ცხადდება ელექტრონული ტენდერი, კონკურსი ან კონსოლიდირებული ტენდერი, ამის შესახებ ინფორმაცია მისდის ყველა იმ პირს, რომელიც დარეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში და საკუთარ CPV კოდებში მითითებული აქვს კონკრეტული CPV კოდები.

გარდა ამისა ელექტრონული სისტემა ხელმისაწვდომია აბსოლუტურად ყველასთვის, იქნება ეს ფიზიკური პირი, შეზღუდული პასუხისმგებლობის სააგენტო, ინდივიდუალური მეწარმე თუ სხვა, და ნებისმიერს შეუძლია მიიღოს შესყიდვაში მონაწილეობა.

---

[18] საქართველოს კანონი " სახელმწიფო შესყიდვების შესახებ „ თავი 2, მუხლი 10, პუნქტი 3
[19] საქართველოს კანონი " სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

როგორ უწყობს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა კერძო მეწარმეებს ხელს განვითარებაში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ვნახოთ თუ რა რაოდენობის თანხა იხარჯება სახელმწიფო შესყიდვებზე. ამისათვის ჩავიხედოთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოქვეყნებულ 2018 წლის ანგარიშში. ანგარიშში დეტალურადაა მიმოხილული სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი მაჩვენებლებისა და აღნიშნულ სფეროში გატარებული რეფორმების შესახებ ინფორმაცია.

2018 წლის მონაცემებით სახელმწიფო შესყიდვებზე საბიუჯეტო ორგანიზაციებმა დახარჯეს 4,087 მილიარდი ლარი.[20] აღნიშნული წარმოადგენს 2018 წლის საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის 10%-ს და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის 33%-ზე მეტს.[21] ცხადია ასეთი მასშტაბების კეთილსინდისიერი და კონკურენტუნარიან გარემოში ხარჯვა დადებითად იმოქმედებს კერძო მეწარმეების სტიმულირებასა და განვითარებაზე.

[20] სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს 2018 წლის ანგარიში - http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/AnalyticalStudiesReports/2018-tslis-saqmianobis-angarishi-geo.pdf.aspx

[21] საქართველოს 2018 წლის ბიუჯეტი https://mof.ge/5115



[22]

როდესაც შესყიდვის განხორციელება ხდება ელექტრონული პროცედურებით, ამ დროს ხდება მიმწოდებლებს შორის კონკურენცია. ამ კონკურენციაში იმარჯვებს ის ვისაც კონკრეტული შესყიდვის ობიექტის მიწოდება ყველაზე დაბალ ფასად შეუძლია. ასეთი კონკურენციის დროს ვითარდებიან ის მეწარმეები, რომლებიც მთელი რიგი მიზეზების გამო წარსულში იჩაგრებოდნენ და ვერ იღებდნენ სახელმწიფო შესყდვებში მონაწილეობას.

სწორედ ამ ნაკლოვანებაზე ვსაუბრობთ, როდესაც ვამბობთ, რომ სახელმწიფო შესყიდვებისგან გათავისუფლებული შესყიდვები ვერ დაეხმარება მეწარმეობას განვითარებაში.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის პირველი თავის პირველი მუხლის 3[1] პუნქტში ჩამოთვლილია ის შესყიდვები, რომლებიც საერთოდ გათავისუფლებულები არიან სახელმწიფო შესყიდვებისგან. ასეთებს წარმოადგენენ:

[22] სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს 2018 წლის ანგარიში - http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/AnalyticalStudiesReports/2018-tslis-saqmianobis-angarishi-geo.pdf.aspx

საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოში არსებული რელიგიური ორგანიზაციები (რომელთაც აქვთ საბიუჯეტო დაფინანსება), კონკრეტული სახის საექსპერტო მომსახურება, პრზიდენტის, მთავრობის და ქალაქ თბილისის მერიის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებიდან დაფინანსებული პროექტების შესყიდვები და სხვ.

ასეთი შესყიდვებისას, რამდენადაც მაღალია კორუფციის რისკი, ასევე დაბალია კონკურენციაც. მაგალითისთვის განვიხილოთ საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის და ქ. თბილისის მერიის სარეზერვო ფონდებიდან დაფინანსებული პროექტები. როდესაც ასეთი ფონდიდან პროექტი ფინანსდება და უმტკიცდება ბიუჯეტი, მისი შესყიდვები ხორციელდება კანონს გარეთ. შესაბამისად, შემსყიდველს არანაირი ვალდებულება არ აქვს, რომ დაემორჩილოს საქართველოს კანონს შესყიდვების შესახებ. ასეთ დროს ნაკლებად ხდება მეწარმეებისთვის ინფორმაცია ცნობილი იმის შესახებ, რომ ესა თუ ის ორგანიზაცია აპირებს კონკრეტული საქონლის შესყიდვას.

სახელმწიფო შესყიდვების არაელექტრონული შესყიდვის განხორციელებისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, რომ გამოიკვლიოს ბაზარი და ამის შემდეგ იმ მომწოდებლისგან შეიძინოს საქონელი, რომელსაც ყველაზე იაფად და ყველაზე მეტად მიახლოებული საქონლის მიწოდება შეუძლია შემსყიდველისთვის საჭირო დროში. ასეთი კვლევების არჩატარება ყოველთვის იწვევს ეჭვებს შემსყიდველების მიმართ. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაცია ბაზრის კვლევისას იმდენად მკაცრი არაა, რამდენადაც სახელმწიფო აუდიტის. შემსყიდველი ორგანიზაციების შემოწმებისას. სწორედ გამარტივებული შესყიდვების ბაზრის კვლევას ამოწმებენ აუდიტები.

ზემოაღნიშნული ფონდების მიერ დაფინანსებული პროექტების შესყიდვებისას, იშვიათად ტარდება ასეთი ბაზრის კვლევები, გამომდინარე იქიდან, რომ არანაირი კანონი და მეთოდური მითითება მათ ამას არ ავალდებულებს.

შესაბამისად, ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვა ძირითადად არამიზნობრივად და არარაციონალურად ხდება. გარდა ამისა, ამ ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით ვერ ხდება მეწარმეობის წახალისება და მეწამეებს შორის კონკურენციის ზრდის ხელშეწყობა. შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის ნაკლს წარმოადგენს. მეწარმეობის სტიმულირებისთვის აუცილებელია სახელმწიფომ შეცვალოს ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის პოლიტიკა.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონში ვხვდებით კიდევ ორ მნიშვნელოვან ჩანაწერს. ამავე კანონის პირველი თავის პირველი მუხლის მესამე პუნქტის „ო“, „პ“, „ჟ“, „რ“ და „ს“ ქვეპუნქტების შესაბამისად ზემაღნიშნული კანონი ათავისუფლებს შემდეგი სახის შესყიდვებს

რ) შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ სავაჭრო ობიექტებიდან რეალიზაციის მიზნით შეძენილი საქონლის სახელმწიფო შესყიდვაზე;

ს) შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შპს „საქართველოს ფოსტისაგან“ საფოსტო და საკურიერო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვაზე;

2011 წელს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანანოში შეტანილი ამ ცვლილებების შემდეგ, ცხადია საქართველოს ფოსტას მიენიჭა მინოპოლიური უპირატესობა სხვა მსგავს კომპანიებთან შედარებით. „რ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ შესყიდულ საქონელსა და მომსახურებაზე, რომელიც შემდგომში რეალიზიაციისთვისაა საჭირო, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი არ ვრცელდება. აქაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ არსებობს კორუფციის მაღალი რისკი, რადგან შესყიდვები არ მიმდინარეობს ელექტრონული სისტემის საშუალებით.

ზემოაღნიშნული კონკურენტული უპირატესობის გარდა შპს „საქართველოს ფოსტას“ აქვს შეიძლება ითქვას მონოპოლიური უპირატესობა მინიჭებული

საქართველოს მთავრობის მხრიდან. კერძოდ - ***" შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შპს „საქართველოს ფოსტისაგან" საფოსტო და საკურიერო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვაზე".*** ეს ჩანაწერი ყველა შემსყიდველს აძლევს უფლებას, რომ მათთვის საჭირო საფოსტო და საკურიერო მომსახურება შეისყიდონ საქართველოს ფოსტისგან, ყოველგვარი ბაზრის კვლევისა და ელექტრონული პროცედურების გარეშე. როდესაც არ ხდება არანაირი ტიპის შერჩევა კომპანიებს შორის, ამ დროს იჩაგრება ყველა სხვა მსგავსი საქონლისა თუ მომსახურების მიმწოდებელი.

აღნიშნულთან დაკავშირებით 2017 წლის 24 იანვარს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა შპს „სკს"-ს კონსტიტუციურ სარჩელი (რეგისტრაციის N655), რომლის თანახმადაც მოსარჩელე ითხოვდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის გავრცელებას შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შპს „საქართველოს ფოსტისაგან" საფოსტო და საკურიერო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვაზეც. [23]

მოსარჩელის განმარტებით, შპს „საქართველოს ფოსტა" აღჭურვილია სადავო ნორმით, რომელიც ანიჭებს ექსკლუზიურ უფლებამოსილებას, საქართველოს საფოსტო და საკურიერო მომსახურების ბაზარზე „შპს საქართველოს ფოსტას". ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სახელმწიფოს მხრიდან ირღვევა კონკურენციის პირობები. უპირატესობა ხელოვნურად, საკანონმდებლო ცვლილებით მიენიჭა ერთ კომპანიას „შპს საქართველოს ფოსტა"-ს. იგი იმავდროულად, წარმოადგენს შპს-ს რომლის 100%-იან წილს ფლობს სახელმწიფო.[24] შესაბამისად, წარმოადგენს საფოსტო და საკურიერო მომსახურების ბაზარზე დომინირებულ მონოპოლიის ამღებ ერთადერთ კომპანიას.

სარჩელის მიხედვით, სახელმწიფომ ასეთი კანონმდებლობის შექმნით უგულებელყო მეწარმეობისა და კონკურენციის მხარდაჭერისთვის ნაკისრი

[23] საკონსტიტუციო სარჩელი - N655
[24] https://www.companyinfo.ge/ka/corporations/428369

ვალდებულება, შეექმნა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და ხელი შეეწყო ეფექტური რეალიზაციისთვის. აქედან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პრიმა პუნქტის „ს“ ქვეპუნქტი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველ და მე-2 წინადადებებს.

მას შემდეგ, რაც ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებები აღმოიფხვრება სახელმწფო შესყიდვების შესახებ კანონში, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ სისტემას შეუძლია გახდეს მაგალითი სხვებისთვისაც.

1.3 ციფრული ტექნოლოგიების გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე

თავისუფალ ბაზარზე ყოველთვის ისეთ პროდუქტებს აქვს თავის დაიმკვიდრების შანსი, რომლებიც ინოვაციურობით ხასიათდებიან. ინოვაცია ნიშნავს სიახლის შემოტანას. ამ პროცესში ხდება ახალი ტექნოლოგიებისა და ტექნიკის შემოტანა სამეწარმეო პროცესში, რაც დღეს უკვე გადამწყვეტ გავლენას ახდენს პროდუქტის სასიცოცხლო ციკლზე. თუ მეწარმე არ ვითარდება და არ შემოაქვს ინოვაციები საკუთარ წარმოებაში იგი აუცილებლად აღმოჩნდება სხვა მეწარმეების ჩრდილქვეშ, რომლებიც საკუთარი ბიზნესის განვითარებისთვის ახალ-ახალ ინოვაციურ იდეებს ეძებენ და ახორციელებენ.

ინოვაციური საქმიანობის გამოკვლევა განსაკუთრებით მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან გააქტიურდა. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ი.შუმპეტერმა. ინოვაციური სფეროს ფუნქციონალური დანიშნულება მან ასე ჩამოაყალიბა:

1. ინოვაციების პოტენციურ მომხმარებელთა ანალიზი;
2. პერსპექტიული იდეებისა და ფუნქციონირების წყაროების ძიება;
3. სიახლეების შექმნისა და დანერგვის ორგანიზაცია;
4. სიახლეების გავრცელება და მხარდაჭერა;[25]

ინოვაციური საქმიანობის დროს ხდება მიზნის, საქმიანობის ხერხის არჩევა და მასზე კონტროლის დამყარება. ინოვაციურ საქმიანობას ი.შუმპეტერი შემოქმედებით საქმიანობას უწოდებს,რომელიც „თვითონ ირჩევს მიზანს და ასრულებს თავის ფუნქციას“.

სასაქონლო ასორტიმენტის ინოვაცია განიხილება როგორც პროცესი,რომელიც შეგება შემდეგი ეტაპებისგან:

1)იდეათა შეკრება და იდეათა გადარჩევა (სკრინინგი და ბიზნეს-ანალიზი)

2) შერჩეული ბიზნეს-ანალიზი

3) შერჩეული იდეის დამუშავება და შემოწმება

4) მარკეტინგის სტრატეგიის განსაზღვრა

5) წარმოებისა და გასაღების შესაძლებლობების ანალიზი;

6) საქონლის შექმნა

7) საქონლის აპრობაცია ბაზარზე(საცდელი მარკეტინგი ან ტესტ მარკეტინგი

8)კომერციალიზცია[26]

[25] Śledzik K., (2013), Schumpeter's view on innovation and entrepreneurship

[26] გულნაზ ერქომაიშვილი, სალექციო კურსი-მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა

თანამედროვე სამყაროში დაიწყო საუბარი ახალ ინდუსტრიულ რევოლუციაზე, რომელიც უკვე ძალიან შორეული მომავლის პერსპექტივა აღარაა და რიგი ქვეყნები იყენებენ კიდეც მის მიღწევებს.

ინდუსტრია 4,0 - სახელი შერჩეულია მისი ცვლილებების თვისობრიობიდან გამომდინარე. ეს რევოლუცია მეოთხეა კაცობრიობის ისტორიაში,რომელიც წინამორბედების მსგავსად ყოველი ეკონომიკური სუბიექტის ცხოვრებაზე იქონიებს გავლენას.

რა არის ინდუსტრია 4.0? პირველი ინდუსტრიული რევოლუცია, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ ინდუსტრია 1.0 ადამიანის ქმედებების მექანიზაცია გახლდათ. მეორე – ელექტროენერგია, კონვეიერები და მას-პროდუქცია. ინდუსტრიული რევოლუციის მესამე ეტაპზე შეიქმნა გონიერი მანქანა - კომპიუტერი. ამ პერიოდში გაჩნდა ავტომატიზაციის საწყისი ეტაპები. ტექნოლოგიებმა ჩაანაცვლეს რიგი ადამიანური შრომის სახეები. განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი იყო, ან ძალიან დიდ ძალისხმევას მოითხოვდა.

საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია და გლობალიზაცია იწვევს იმას, რომ მეწარმე აღმოჩნდება ახალი გამოწვევებისა და მოთხოვნების წინაშე და იგი იძულებული ხდება საწარმო ორგანიზაციაში არსებული მდგომარეობა ძირეულად გარდაქმნას, რათა მოერგოს მსოფლიო ბაზრის ტენდენციებს. უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს წარმოების პროცესში რესურსების ეფექტური გამოყენება, წარმოების მართვაში და ახალი პროდუქტის ან/და მომსახურების შექმნაში მომხმარებელთან და პარტნიორებთან მაღალი დონის ინტეგრაცია.

ციფრული ინდუსტრია მეწარმეებს აიძულებს, რომ უზრუნველყონ საწარმოების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდა როგორც საშუალო, ისე გრძელვადიან პერიოდში. ინდუსტრია 4.0-ის მიზანს წარმოადგენს კომპანიებში არსებული

სხვადასხვა პრობლემებთან და გამოწვევებთან გამკლავება. შესაბამისად, მიმდინარე საწარმოო პროცესების კვლევასა და ანალიზში ხშირად გამოიყენება მისი მიდგომები.

ის რაც ორასი წლის წინ შეუძლებლად მიაჩნდათ ასი წლის წინ უკვე ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენდა, ხოლო ის რაც ასი წლის წინ მიაჩნდათ წარმოუდგენლად დღეს შეიძლება ჩვენი ყოველდღიურობაც იყოს. ვირტუალური სამყარო ემსგავსება და ემთხვევა რეალურს, ფაქტობრივი ნამდვილი პროდუქტები, მათი კომპონენტები და ნაწილები, მანქანები, მცენარეები და ინფრასტრუქტურული ერთეულები ცვლიან რეალურ და სიტუაციურ ინფორმაციას და პირდაპირ გავლენას ახდენენ წარმოების და მიწოდების ჯაჭვის ოპერაციებზე.

გაციფრულების კონცეფცია უნდა განვიხილოთ სხვადასხვა კუთხით. გაციფრულება ეს არის რეალური მონაცემების გადატანა კომპიუტერულ სისტემებში, შენახვა და გადატანა, დაფორმატება სხვადასხვა პროგრამებში.

ინდუსტრია 4.0 თავის თავში გულისხმობს ინფორმაციების ციფრული სახით გარდაქმნას, რაც საბოლოოდ გულისხმობს იმას, რომ ციფრულმა სამყარომ კავშირი უნდა დაამყაროს ფიზიკურ სისტემასთან ანუ მივიღებთ კიბერ-ფიზიკურ სისტემებს. ეს არ ნიშნავს ღილაკზე თითის დაჭერა, ეს არის სრული ბიზნეს პროცესების დაგეგმვა. ინდუსტრია 4.0-მა განსაკუთრებით ეფექტურად უნდა იმოქმედოს დიდი მოცულობის საწარმოებში.

თანამედროვე მენეჯმენტში ინდუსტრია 4.0-ით საწარმოს მართვა გულისხმობს იმას, რომ საწარმომ მარტივად შეძლოს ყველა გარემოებასთან მარტივად ჰარმონიზაცია და იმ შემთხვევაში, თუ სამომავლოდ შეიქმნება განსხვავებული გარემოება (ეკონომიკური ვითარების ცვილიება, ინოვაციების სწრაფი ზრდა, პოლიტიკური ვითარება) საწარმომ უნდა გადალახოს წარმოქმნილი დაბრკოლებები. ეს მიიღწევა საწარმოს მაღალტექნოლოგიური ტრანსფორმაციით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კერძო მეწარმეებმა, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო

საწარმოებმა, უნდა განსაზღვრონ, თუ რამდენად მომგებიანი იქნება მათთვის ციფრული ინდუსტიის გამოყენება.

დღევანდელი მსოფლიო მეოთხე ინდუსტრიული რევულიციის მომსწრეა. ყველაზე მეტად მეწარმეები ორიენტირებულნი არიან ქარხნებზე და მათ ინფრასტრუქტურაზე.

მე-20 საუკუნეში 70-იანი წლების გლობალიზაციურმა პროცესებმა გამოიწვია რესურსების დეფიციტი, რასაც თან სდევდა მეწარმეებს შორის მაღალი კონკურენცია. როგორც უკვე აღვნიშნეთ კონკურენცია ზრდის და აჯანსაღებს ეკონომიკას. გლობალიზაციის ამ შედეგებმა გამოიწვია ის, რომ წარმოება გახდა უფრო მეტად ეფექტიანი და მეტად ინოვაციური. შეზღუდულმა რესურსებმა კერძო მეწარმეებს გაუჩინა ახალი საფიქრალი, რასაც მათ სწორედ ზემოთაღნიშნულით უპასუხეს. დღეს არსებული ციფრული რევოლუცია და ციფრული ბიზნეს მოდელები, ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს კერძო მეწარმეებს, ისეთების როგორიცაა მონაცემთა ანალიზი, ინფორმაციის კონფიდენციალურობა და სხვ. [27][28]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ციფრული რევოლუცია ახალი გამოწვევების წინაშე დააყენებს მეწარმეებს. ახლო მომავალში ინოვაციების მიმდევარი საწარმოები დაიწყებენ ადამიანების, დანადგარების და პროდუქტის ფუნქციონალურ თავსებადობას. საბოლოოდ ეს სამი კომპონენტი იქცევა ერთ ჯაჭვად. მოხდება ინფორმაციის მარტივი გაცვლა და ფიზიკური და ვირტუალური ობიექტების ერთმანეთთან დაკავშირება. წარმოების პროცესში მოხდება მონიტორინგის გამარტივება, შეზღუდვების აღმოფხვრა და რაციონალიზაცია. კვლევები აჩვენებს, რომ ციფრული ტექნოლოგიები საწარმო პროცესისას იძლევა უფრო მაღალ

[27] 5. Federal Ministry of Labour and Social Affairs. (2015). Work 4.0. Keep working. Arbeiten 4.0. Arbeit weiter denken, Berlin

[28] https://www.arbeitenviernull.de/dialogprozess/gruenbuch/arbeiten-40.html

ეფექტიანობას.[29] ინდუსტრია 4.0 ითვალისწინებს ინდივიდუალური კომპანიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და შემდეგი ნაბიჯების იდენტიფიცირებას, რათა მოხდეს სწორი გადაწყვეტილებების მიღება მენეჯმენტის პროცესში.

როგორია საწარმო რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის საწარმოდ:

1) საწარმო/ქარხანა უნდა იყოს მთლიანად ავტომატიზირებული

2) საწარმო/ქარხანაში დანერგილი უნდა იყოს მთლიანად ავტომატიზირებული მონიტორინგის სისტემა.

3) საწარმო/ქარხანაში არსებულ მანქანა/დანადგარებს მთლიანად კომპიუტერები უნდა მართავდნენ

4) კომპიუტერს უნდა ქონდეს „ინტელექტი“, მას უნდა შეეძლოს ახალი ფუნქციების სწავლა, უნდა შეეძლოს სიტუაციის ანალიზი და საწარმო/ქარხანაში ნებისმიერი სიტუაციისას უნდა შეეძლოს სწორი, ოპტიმალური და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება.

შესამაბისად, ყველა მეწარმეს მართებს თავის სფეროში არსებული ინოვაციებისთვის თვალყურის დევნება, რათ არ ჩამორჩეს პროცესებს. მან მყისიერად უნდა მოახდინოს ახალი ინოვაციის დანერგვა და ამ ინოვაციის გათვალისწინებით ახალი კონკურენტუნარიანი საწარმო პოლიტიკის შემუშავება. მას უნდა შეეძლოს ცვლილებებთან დროული ადაპტაცია.

ტექნოლოგიური პროცესები განსაკუთრებით ვნებათაღელვას იწვევს ისეთ ქვეყნებში, სადაც ინოვაციები სიახლეა. ასეთ ქვეყნებში ხშირად შესაძლოა ტექნოლოგიურ პროცესებს გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები. ადამანების გარკვეული ნაწილის აზრით, ტექნოლოგიური პროგრესი ანაცვლებს ადამიანურ შრომას, რაც

[29] Industrie 4.0 Maturity Index Managing the Digital Transformation of Companies. Günther Schuh, Reiner Anderl, Jürgen Gausemeier, Michael ten Hompel, Wolfgang Wahlster (Eds.) გვ. 44-55

საფრთხეს უქმნის საზოგადოებას. საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ გვყავს ახალი უმუშევრები, ასეთ უმუშევრებს კი სტრუქტურულ უმუშევრებს უწოდებენ. ცხადია ეს მოსაზრება არ არის დაფუძნებული არანაირ ეკონომიკურ ღირებულებებზე.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის, რომ პროგრესი არანაირად არ არის საზოგადოებისთვის დამაზიანებელი. შესაძლოა მოკლევადიან პერიოდში გარკვეული რაოდენობით გამოიწვიოს ადამიანების მხრიდან სამუშაო ადგილების დაკარგვა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს რომ გრძელვადიან პერსპექტივაში პროგრესი საზიანოა. პირიქით, სწორედ პროგრესმა განავითარა დღევანდელი მსოფლიო და სწორედ პროგრესია ეკონომიკის ზრდის პირველწყარო. ტექნოლოგიური პროგრესი იძლევა ახალ შესაძლებლობებს და ეს შესაძლებლობები მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული. წინ წამოიწია ადამიანის გონებრივმა შესაძლებლობებმა და არცაა გასაკვირი, რომ მეცხრამეტე საუკუნის ტექნოლოგიური პროგრესი გეომეტრიული პროგრესით განვითარდა. მას შემდეგ, რაც ადამიანები მანქანებმა ჩაანაცვლეს, ადამიანებს გაუჩნდათ უფრო მეტი დრო განათლებისთვის და მეწარმეობისთვის, რამაც მიგვიყვანა იქამდე სადაც ახლა ვართ. თუ მეოცე საუკუნეში სახელმწიფო ინსტიტუტები მიფრინავდნენ კოსმოსში, დღეს კერძო სექტორის წარმომადგენლებსაც თავისუფლად შეუძლიათ ამ სიმაღლეების დაპყრობა. საქართველო და ყველა სხვა განვითარებადი ქვეყანა, მაგალითს უნდა იღებდეს იმ ქვეყნებისგან, რომლებმაც ფეხი აუწყეს ტექნოლოგიურ პროგრესს და ახლა განვითარების სულ სხვა ეტაპზე იმყოფებიან და სხვა ქვეყნებს მოქმედების წესებს კარნახობენ. [30]

შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ რასაც ფალტინი საუბრობს, არსებული ინსრუმენტებით ახალი ბიზნესის ჩამოყალიბებაზე, ეს ახალი ინდუსტრიული რევოლუციის პირობებში უკვე აქტუალობას კარგავს.

ინდუსტრია 4.0 დამწყებ მეწარმეებს სულაც არ უქადის მაღალტექნოლოგიურ სირთულეებს. პირიქით, უამრავ ახალ შესაძლებლობებსაც აძლევს მათ.

30 The Fourth Industrial Revolution, by Klaus Schwab – (2016 იანვარი)

2016 წლის 22 ივნისს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული კანონით ინოვაციების შესახებ მიზანია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა და სრულყოფა, ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა, სხვა სახელმწიფოებში შექმნილი ტექნოლოგიების საქართველოში ათვისების ხელშეწყობა, საქართველოში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრებისა და ტექნოლოგიების დანერგვისა და ექსპორტის ხელშეწყობა, მოწინავე ტექნოლოგიების მეცნიერებისა და ეკონომიკის ყველა სფეროში შეღწევა ამ სფეროთა კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით. [31]

ინოვაციური საქმიანობის ხელშესაწყობად სახელმწიფო ორგანო ან სხვა პირი ქმნის შემდეგ ინფრასტრუქტურას:

1. სამეცნიერო/ტექნოლოგიურ პარკს;
2. ბიზნესინკუბატორს;
3. ბიზნესამაჩქარებელს;
4. ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრს;
5. სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიას (FabLab) და ინოვაციების ლაბორატორიას (ILab);
6. ინოვაციების ცენტრს;
7. სხვა ინფრასტრუქტურას.[32]

ამავე კანონით განისაზღვრება თითოეული მათგანი:

• სამეცნიერო/ტექნოლოგიური პარკი უზრუნველყოფს განსაზღვრულ სივრცეში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და ინოვაციური საქმიანობის სხვა სუბიექტებისათვის ინფრასტრუქტურული და პროფესიული მომსახურებების გაწევას.

31 https://matsne.gov.ge/ka/document/view/3322328
[32] საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ, 22 ივნისი 2016წ

• ბიზნესინკუბატორის ძირითადი ფუნქციაა კონკურსის წესით შერჩეული ინოვაციური საქმიანობის სუბიექტისთვის სამუშაო სივრცის უზრუნველყოფა და ადმინისტრაციული და სხვა ტექნიკური დახმარების გაწევა არაუმეტეს 2 წლის ვადით.

• ბიზნესამაჩქარებლის ძირითადი ფუნქციაა კონკურსის წესით შერჩეული ინოვაციური საქმიანობის სუბიექტისთვის სამუშაო სივრცის, მისი ბიზნესიდეის და მოდელის განვითარებისა და დახვეწის უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კონკურსის პირობებით განსაზღვრული ინვესტირების განხორციელება.

• ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი უზრუნველყოფს ინოვაციის გადაცემას, რაც მოიცავს ინოვაციის კომერციული პოტენციალის შეფასებას, ინოვაციის გადაცემისათვის პარტნიორთა მოძიებას და ინოვაციის კომერციალიზაციის მიზნით ასეთი გადაცემის შეფასებას.

• სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია უზრუნველყოფს განსაზღვრულ სივრცეში ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ინფრასტრუქტურული და პროფესიული მომსახურებების გაწევას, რაც გულისხმობს იდეის ტესტირებას და ნიმუშის დამზადებას.

• ინოვაციების ლაბორატორია საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლობის შედეგად უზრუნველყოფს ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ინფრასტრუქტურული და პროფესიული მომსახურებების გაწევას და ტრენინგების ჩატარებას, რაც გულისხმობს კონკრეტულ ბიზნესზე ორიენტირებულ სწავლებას, იდეის ტესტირებას და ნიმუშის დამზადებას.

• ინოვაციების ცენტრი უზრუნველყოფს მოსახლეობის კომპიუტერული უნარ-ჩვევების ამაღლებას, ინოვაციების სფეროში სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებას, დისტანციური სწავლებისა და დასაქმების პლატფორმების დანერგვას. საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ რომ ციფრული ინდუსტრიის დანერგვა გარდაუვალია დღევანდელ მსოფლიოში. მათ შორის ამ პროცესებში უნდა ჩაერთოს საქართველოც და ეს ასეც მოხდება, რადგანაც ჩვენ ღია ეკონომიკა ვართ და

მსოფლიოში განვითარებულ ყოველ მოქმედებაზე, შესაბამისი რეაქცია აქვს ქართულ ეკონომიკას და მის შემადგენელ კომპონენტებს. ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებმა აუცილებლად უნდა იფიქრონ იმაზე, რომ ხელი შეუწყონ ციფრული ინდუსტრიის მაქსიმალურად სწრაფად და მარტივად დამკვიდრებას. საწარმოო ინდუსტრიაში არსებული ყველა ბიზნესპროცესის ინტეგრირება შედეგად ამაღლებს მის მწარმოებლურობას.

ნებისმიერი ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისათვის ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება **ბიზნესგარემოს ფორმირებასა და განვითარებას.** აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია, მკაფიო წარმოდგენა გვქონდეს ბიზნესგარემოს კონცეფციის შემუშავებასა და მისი ცალკეული შემადგენელი კომპონენტების თავისებურებებზე.

ბიზნეს ლიტერატურაში ტერმინი „ბიზნესგარემო“ ასოცირდება გარე ძალებთან, ფაქტორებთან და ინსტიტუტებთან, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ბიზნესის ფუნქციონირებაზე. აღნიშნული მოიცავს მომხმარებლებს, კონკურენტებს, მიმწოდებლებს, მთავრობას, გარდა ამისა, სოციალურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ, ტექნოლოგიურ და ა.შ ფაქტორებს, რომლებიც, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენენ ფირმათა ბიზნეს გადაწყვეტილებებზე.

გამოყოფენ ბიზნესის შიდა და გარე გარემოს. ელემენტები, რომლებიც ეკუთვნის მოცემულ ფირმას და ექვემდებარება შიდა კონტროლს, წარმოადგენს სისტემის შიდა გარემოს, ხოლო ის ელემენტები, რომლებიც არ ეკუთვნის მოცემულ ფირმას, არ ექვემდებარება მისი მხრიდან რეგულირებას, მაგრამ საკმაოდ დიდ ზეგავლენას ახდენს ბიზნესის ფუნქციონირებაზე. ამის გამო, ისინი აუცილებლად გასათვალისწინებელია ბიზნესის ფუნქციონირებაში. ბიზნესგარემოს არაკონტროლირებადი გარე ფაქტორები თავის მხრივ კლასიფიცირდება: ეკონომიკურ და არაეკონომიკურ გარემოდ. ეკონომიკური გარემო მოიცავს ეკონომიკურ პირობებს, ეკონომიკურ პოლიტიკას და ქვეყნის ეკონომიკურ სისტემას.

არეკონომიკური გარემო გულისხმობს სოციალურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ, ტექნოლოგიურ და ა.შ პირობებს.

ბიზნეს საწარმოების საქმიანობა მთლიანად დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ გარემოზე, რომლის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორებია

1) ეკონომიკური პირობები - რომელსაც მიეკუთვნება მშპ, მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავალი, საქონლისა და მომსახურების ბაზარი, კაპიტალზე ხელმისაწვდომობა, სავალუტო რეზერვები, შიდა ვაჭრობისზრდა, კაპიტალის ბაზრის სიძლიერე და ა.შ.

2) ეკონომიკური პოლიტიკა - ქვეყანაში ბიზნესსაქმიანობაზე ზეგავლენას ახდენს და პირდაპირ კავშირშია მთავრობის მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ პოლიტიკასთან. ამ მხრივ მნიშვნელოვან ეკონომიკურ პოლიტიკას მიეკუთვნება ინდუსტრიული, ფისკალური, მონეტარული, უცხოური ინვესტიციებისა და ექსპორტ-იმპორტის პოლიტიკა.

არაეკონომიკური გარემოს ელემენტებია:

3) სოციალური გარემო - ბიზნესის სოციალური გარემო მოიცავს სოციალურ ფაქტორებს, როგორიცაა კულტურა, ჩვევები, ტრადიციები, ღირებულებები, რწმენა, განათლება და ა.შ. გარდა ამისა, სოციალური სტრუქტურა და საზოგადოებრივი ფასეულობები მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ფირმათა წარმატებულ საქმიანობაზე.

4) პოლიტიკური გარემო - გულისხმობს პოლიტიკური სისტემისა და სამთავრობო პოლიტიკის დამოკიდებულებას საქმიან წრეებსა და პროფკავშირებთან. აღნიშნულ ასპექტებს გააჩნია კავშირი ფირმების მიერ განხორციელებულ სტრატეგიებთან. პოლიტიკური სტაბილურობა ასევე დიდწილად ახდენს ზეგავლენას ბიზნესსა და მასთან დაკავშირებულ საქმიანობებთან. ის წარმოადგენს

სიძლიერის სიგნალს და ხელს უწყობს ნდობის ზრდას სხვადასხვა დაინტერესებულ პირებსა და ინვესტორებს შორის.

5) სამართლებრივი გარემო - მიეკუთვნება მთელი რიგი კანონები, ინსტრუქციები რომლებიც ზემოქმედებს ბიზნესორგანიზაციების საქმიანობაზე. თითოეული ბიზნესსუბიექტი უნდა ექვემდებარებოდეს და საქმიანობდეს კანონის ფარგლებში;

6) ტექნოლოგიური გარემო - მოიცავს მეთოდებს, სხვადასხვა მიდგომებს, რომლებიც გამოიყენება საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და განაწილებისთვის. განსხვავებული ტექნოლოგიური გარემო სხვადასხვა ქვეყნებში, ზეგავლენას ახდენს საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე.

მჭიდრო და უწყვეტი ურთიერთქმედება ბიზნესსა და გარემოს შორის უზრუნველყოფს ფირმის სიძლიერეს და რესურსების ეფექტიან გამოყენებას. ბიზნესგარემო მრავალმხრივი, კომპლექსური და დინამიური ხასიათისაა, რომელიც მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ბიზნესის ზრდასა და განვითარებაზე, უფრო კონკრეტულად კი, სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური გარემო ხელს უწყობს ბიზნესს:

1) ბიზნესისა და მისი გარემოს გათვალისწინებით ხდება შესაძლებლობებისა და საფრთხეების იდენტიფიცირება, რაც ეხმარება კომერციულ საწარმოებს პრობლემების სწრაფად გადაწყვეტაში;

2) გარემოსთან ურთიერთქმედება განაპირობებს კომპანიის ბიზნესის ახალ ზღვრულ შესაძლებლობებს. ეს საშუალებას აძლევს ბიზნესს, განსაზღვროს ზრდის სფეროები და გააფართოვოს მისი საქმიანობა;

3) გარემოს ანალიზი მენეჯერებს ეხმარება მარტივად გადაჭრან ბიზნესის გამოწვევები. მენეჯერები მოტივირებულნი არიან, განაახლონ მათი ცოდნა იმისათვის, რომ დააკმაყოფილონ პროგნოზირებადი ცვლილებები ბიზნესსფეროში;

3) გარემოს შესწავლა ხელს უწყობს ბიზნესორგანიზაციებს გააუმჯობესონ მათი იმიჯი, უჩვენონ მათი მგრძნობიარე დამოკიდებულება იმ გარემოს მიმართ, სადაც ისინი საქმიანობენ;

4) კონკურენტებთან შეჯახება ეხმარება ფირმებს, გააანალიზონ კონკურენტების სტრატეგია და შესაბამისად ჩამოაყალიბონ საკუთარი;

5) ბიზნესგარემო ხელს უწყობს ფირმის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას ტექნოლოგიური და გლობალური განვითარების თვალსაზრისით.

როგორც ცნობილია, საწარმო საქმიანობს გარკვეულ ბიზნესგარემოში ეს უკანასკნელი იმ პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობაა, რომლები ზემოქმედებს საწარმოს ფუნქციონირებაზე. აქედან გამომდინარე, საწარმო სისტემურად უნდა მოახდინოს ანალიზი, რომ დაადგინოს ის საშუალებანი რომელსაც ბიზნესგარემო სთავაზობს. ამდენად, საწარმო და გარემ მუდმივად ურთიერთკავშირსა და ურთიერთ დამოკიდებულებაში იმყოფება ბიზნესის თავისებურებანი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენა განვითარებულია ქვეყანაში გარემო პირობები.

თავი 2. მეწარმეობაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები

2.1 რეგულაციები, როგორც მეწარმეობის შემაფერხებლები

საქართველოს პარლამენტის ნაციონალური ბიბლიოთეკის განმარტებით რეგულირება არის: „შესაბამისი კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მიერ სამართლებრივი აქტების მიღება, ლიცენზიების/ნებართვების გაცემა, მონიტორინგის, კოორდინაციის, ზედამხედველობისა და სალიცენზიო/სანებართვო პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება.“[33]

ის რეგულაციები, რომლებიც პატივს სცემენ თავისუფალი ბაზრის, კონკურენციის ფუნდამენტურ როლს, შესაძლოა უზრუნველყოფდეს სასიცოცხლო საზოგადოებრივი სარგებლის მოტანას. ასეთები შეიძლება იყოს გარემოს დაცვა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხოება. მიუხედავად ასეთი განზრახვებისა სახელმწიფო რეგულაციებმა შესაძლოა გამოიწვიოს ხარვეზები და მივიღოთ გამარჯვებულები და დამარცხებულები, რომლებიც ამ რეგულაციებმა გამოავლინა. როცა რეგულაცია ასე მუშაობს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას გაუთვალისწინებელი ზიანის მოტანა შეუძლია. ცუდად შემუშავებულ რეგულაციას უფრო მეტი ცუდის მოტანა შეუძლია, ვიდრე კარგის. მას შეუძლია შეამციროს ინოვაციები, ინვესტიციები, ეკონომიკს ზრდა, სამუშაო ადგილების შექმნა და შეარყიოს მდგრადი განვითარება.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა მარეგულირებელი პროგრამა შექმნილია ვითომდა იმ მიზნით, რომ მხარი დაუჭიროს საზოგადოების განვითარებას და მეტი სარგებელი მოუტანოს მათ, პრაქტიკაში რეგულაცია ჩვეულებრივ განსაზღვრავს იმ

[33] [საქართველოს კანონი „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“, 2002 წლის 13 სექტემბერი, მუხლი 3]

დეტალურ წესებს, რომელიც სწორედ ამ საზოგადოებამ უნდა დაიცვას და ხშირ შემთხვევაში ეს შეიძლება ძვირადღირებული და მძიმე იყოს მათთვის.

რეგულაციები ეხება არა მხოლოდ მსხვილ კოპრორაციებსა და დიდ ბიზნესებს, არამედ მცირე ბიზნესებს, არაკომერციულ ორგანიზაციებს, სკოლებს, სახელმწიფო და ადგილობრივ მთავრობებს, ფერმერებს, მომხმარებლებს და მოქალაქეებს.

ეკონომიკის ზოგიერთ სექტორს განსაკუთრებით მძიმე ტვირთად აწვება რეგულაციები. ეს სფეროებია წარმოება, ავტომობილები და ტრანსპორტირება, ენერგეტიკა, საბანკო და საფინანსო სექტორი, ჯანდაცვა და ფარმაცევტიკა და სხვა. თუმცა ეს რეგულაციები, დაწესებული ამ სფეროებისადმი, არ ნიშნავს იმას, რომ ამ რეგულაციებით გამოწვეულ ტვირთს ადამიანები არ ვიხდით. რეგულაციების შედეგად ჩვენ ვიღებთ მაღალ გადასახადებს და მაღალ ფასებს პროდუქტზე, გარდა ამისა ვიღებთ გარკვეული პროდუქტების შეზღუდულ რაოდენობას, ნაკლებ ხელფასებს და შემცირებულ სამუშაო ადგილებს. რეგულაციებით გამოწვეული ტვირთი ყოველთვის ბიზნესის მიერ არ არის შთანთქმული. ის ძირითადად მოსახლეობას აწვება მძიმე ტვირთად.

მთავრობის ზრდის პროპორციულად იზრდება რეგულაციების რაოდენობა. მაგალითისთვის თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში 1977 წლის მონაცემებით რეგულაციების მხოლოდ 1754 გვერდიანი ჩამონათვალი იყო, დღეის მდგომარეობით იგი 168 000 გვერდს ითვლის.[34]

რთული წარმოსადგენია ამ ჩამონათვალის ზედმიწევნით სწორად დაცვა მეწარმეობის პროცესში და გარდა ამისა ამ რეგულაციების დიდმა რაოდენობამ, ბევრ დამწყებ მეწარმეს შესაძლოა მეწარმეობის დაწყების სურვილიც დაუკარგოს.

[34] https://regulatorystudies.columbian.gwu.edu/reg-stats#Total%20Pages%20in%20the%20Code%20of%20Federal%20Regulations%20(1936%20-%202013)

იმდენად რამდენადაც მარტივია რეგულაციების მიღება და მწირია ამ რეგულაციების მიღების დანახარჯები, ამდენადვე დიდია და განუსაზღვრელია ის ეკონომიკური დანაკარგები, რომლებსაც ეკონომიკური მეწარმეები განიცდიან ამა თუ იმ რეგულაციიდან გამომდინარე.

გამომდინარე იქიდან, რომ რეგულაციების გავლენა დიფუზიურია და რთულია მისი გაზომვა, არ არსებობს რეალური, რიცხვობრივად გამოხატული მაჩვენებელი არსებული დანაკარგისა, თუმცა არსებობს ზოგიერთი კვლევა. აღნიშნული კვლევები ჩატარებულია ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე და მათი გაანგარიშებით წლიური დანაკარგი 2 ტრილიონ დოლარამდეა.[35]

ზოგიერთი კვლევის მიხედვით აღნიშნული დანაკარგი შესაძლოა ორჯერ უფრო მეტი იყოს, ანუ 4 ტრილიონ დოლარამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ შეერთებული შტატების თითოეული მოქალაქე (ბავშვი, კაცი, ქალი) წელიწადში საშუალოდ 13 000$ დოლარს კარგავს.[36]

ეს ყველაფერი დათვლილია არსებული მონაცემების მიხედვით, თუმცა რეალური დანაკარგი ცხადია ვერ დაითვლება. ჩვენ ვერ დავითვლით იმ დაკარგული სამუშაო ადგილების ღირებულებას, რომელიც რეგულაციების არსებობის გამო ვერ შეიქმნა, იმ ქარხნების არ აშენებით გამოწვეულ ხარჯს, რომლებსაც რეგულაციებმა შეუშალა ხელი, ასევე იმ მედიკამენტებით მისაღებ სიკეთეს, რომელის გამოგონებაც ამა თუ იმ რეგულაციის გამო ვერ მოხერხდა და რაც მთავარი ვერ დავითვლით იმ მეწარმეების ზარალს, რომლებმაც სამეწარმეო საქმიანობა იმის გამო ვერ დაიწყეს, რომ რეგულაციებმა შეუშალათ ხელი.

[35] https://cei.org/content/costs-and-burden-federal-regulations-reach-19-trillion

[36] (The Cumulative Cost of Regulations, Bentley Coffey, Patrick A. McLaughlin, and Pietro Peretto, 2016 წლის აპრილი, გვ. 8)

შოტლანდიელი ეკონომისტი ადამ სმიტი წერდა „რასაც ჩვენ სადილზე ველით, ეს არა ყასბის, მევენახის და მცხობელის კეთილგანწყობის შედეგია, არამედ მათი ინტერესისა“ [37] .

ამერიკის შეერთებული შტატების მე-15 პრეზიდენტი ჯეიმს ბიუკენენი კი ამბობდა - „მოგების ძიების მიზნით მეწარმეები მუდმივად ცდილობენ რესურსები უფრო ღირებულად გამოიყენონ და სწორედ ამ დროს იზრდება და ვითარდება ეკონომიკა“ [38].

აღსანიშნავია რომ ასეთ დროს, კონკურენტული შეჯიბრებისას, წარმატებული მეწარმეები მანამდე ოპერირებენ, სანამ სხვა წარმატებული არ გამოჩნდება და მათ ადგილს არ დაიკავებს. ასეთ ბაზრებზე ის მიმწოდებლები იღებენ უპირატესობებს, რომელთ ფასი უფრო უფრო დაბალია ვიდრე სხვების და ამასთან მათი ხარისხიც უკეთესია.

რიგ შემთხვევებში რეგულაციები იძლევა უპირატესობას ერთი მხარისთვის და ასეთი უპირატესობის მინიჭება მისთვის მხოლოდ მთავრობას შეუძლია. მაგალითად, თუ მთავრობა აკრძალავს მეექვსე სართულის ზემოთ ბინების გაქირავებას, ეს პირდაპირ წაახალისებს და უკეთეს მდგომარეობაში ჩააყენებს მეექვსე სართულის ქვემოთ არსებულ ბინებს.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში რეგულაციას ნაცვლად იმისა, რომ შეექმნა ახალი შესაძლებლობები და ღირებულებები, პირიქით ის გამოიწვევს სოციალური და მატერიალური რესურსის გაფლანგვას. როდესაც რეგულაციებს აქვთ შესაძლებლობა დააკმაყოფილონ კერძო ინტერესები, ეს იმას ნიშნავს, რომ მათი მიღების პროცესში არსებობდნენ დაინტერესებული მხარეები. შესაბამისად, რეგულაციები შესაძლებელია კორუფციის წინაპირობაც იყოს.

[37] Adam Smith, An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations, ch. 2, 1776.
[38] James Buchanan, “Rent Seeking and Profit Seeking,” in The Collected Works of James M. Buchanan: Vol. 1. Liberty Fund 1999.

მარეგულირებელი პროგრამები, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ შეიძლება შეიქმნას ინტერესთა ჯგუფების მიერ და შემდგომში გამოყენებულ იქნას მათი ბიზნესის წარმატებისთვის. დიდ ინტერესთა ჯგუფებს, დიდ კომპანიებს და სავაჭრო ორგანიზაციებს, გარემოსდაცვით ჯგუფებს, იურისტების გაერთიანებებს, სახელმწიფო და ადგილობრივ მთავრობებს უფრო დიდი წვდომა აქვთ მარეგულირებელ კანონმდებლობასთან. გამომდინარე აქედან, მათ შეუძლიათ ზეგავლენა იქონიონ რეგულაციის შექმნაზე და მის განსაზღვრაზე.

მაშინაც კი როდესაც რეგულაცია კარგად არის გააზრებული და საზოგადოებისთვის დადებით საქმეს ემსახურება, შესაძლოა მაინც გამოიწვიოს უარყოფითი ეფექტები.

მაგალითად, წამლების წარმოების რეგულირებამ და ნარკოპოლიტიკის მკაცრმა კონტროლმა, შესაძლოა ისეთი წამლის შექმნას შეუშალოს ხელი, რომელიც შემდგომში მილიონობით ადამიანს გადაარჩენს.

2.2 საბანკო რეგულაციები საქართველოში და მათი გავლენა მეწარმეობაზე

2018 წლის ბოლოდან საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, რომ მიეღო ახალი საბანკო რეგულაციები.

ეროვნული ბანკის მიერ 2018 წლის ნოებრიდან დაიწყო რეგულაციების მიღება. მოგვიანებით, 2019 წლის იანვრიდან საქართველოში დაინერგა ახალი რეგულაციები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეწარმეობის განვითარებისთვის აუცილებელია მეწარმე დიდწილად ინფორმირებული იყოს იმის შესახებ თუ რა ხდება ფინანსურ ბაზრებზე. ეს მას ეხმარება მომავლის დაგეგმვაში და დღეს მისაღები გადაწყვეტილების სისწორეში. შესაბამისად, აუცილებელია მოსახლეობისთვის მკაფიოდ და ნათლად იყოს განმარტებული ის, თუ რა შეზღუდვები წესდება მათთვის. 2019 წლიდან მიღებული რეგულაციები მთლიანად უცვლის პირობებს ფიზიკურ პირებს.

თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით ინფორმაციის ერთმანეთისთვის მიწოდება ძალზედ გამარტივებულია, შესაბამისად, საზოადოებაში მალევე გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ეროვნული ბანკი ახალ რეგულაციებს აწესებდა. საზოგადოების ნაწილი ამას დადებითად შეხვდა. თვლიდნენ რომ საბანკო სისტემა ხალხის მიმართ მჩაგვრელობით ხასიათდებოდა და აუცილებელი იყო მისი რეგულირება. საზოგადოების მეორე ნაწილი კი აკრიტიკებდა ამ რეგულაციებს და თვლიდა, რომ ეს კიდევ უფრო გაართულებდა საქარველოში ეკონომიკის განვითარებას.

რომც არ ჩავუღმავდეთ ამ საკითხს და ზედაპირულად შევხედოთ, მარტივად დასანახია ის, თუ რა შეიძლება მოყვეს ასეთ რეგულაციებს. პირველ რიგში შემცირდება სესხების ოდენობა, რაც გამოიწვევს ხალხში ფულის მასის შემცირებას. ასეთ დროს რთულია ადამიანმა იფიქროს წარმოების დაწყებაზე როცა ფულის სესხება შეუძლებელია. გარდა ამისა გართულდება ნივთების განვადებით შესყიდვა.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში ეკონომიკური ვითარება ჯერ კიდევ არ არის მოწოდების სიმაღლეზე, განვადების სისტემა ყოველთვის პოპულარობით სარგებლობდა მოსახლეობაში. იგი იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ადამიანს ეყიდა ის, რისი ყიდვის საშუალებაც იმ მომენტში არ ქონდა. ამასთან გართულდება იპოთეკური სესხების რაოდენობაც, რაც გამოიწვევს სამშენებლო ბიზნესისთვის პრობლემების გაჩენას. სამშენებლო ბიზნესი კი ბოლო წლების განმავლობაში საქათველოში, განსაკუთრებით კი თბილისში საკმაოდ მოძლიერდა.

აუცილებლად გასათვალისწინებელია ის მიზეზი, თუ რამ გახადა ეროვნული ბანკი იძულებული მიეღო ასეთი რეგულაციები. ეს არის ქვეყანაში ჭარბვალიანობის შემცირებით გამართლებული რეგულაციები. სავარაუდოდ ეროვნულ ბანკში აღარ უფიქრიათ იმაზე, რომ ჯობია ადამიანს ქონდეს ვალი, ვიდრე უფულობით შექმნილი პრობლემები. სავარაუდოდ არც იმაზე უფიქრიათ რომ სესხების გაცემა გადავიდოდა ჩრდილოვან ეკონომიკაში და გამოჩნდებოდნენ მევახშეები, რომლებიც ბევრად უფრო მაღალ პროცენტში გასცემენ სესხებს.

განვიხილოთ რა მოხდა საქართველოში 2019 წლის პირველი იანვრიდან. ეროვნულმა ბანკმა განსაზღვრა თანხის მაქაიმალური რაოდენობა, რომლის გადახდაც შეუძლია სესხის ამღებს. მაგალითისთვის, თუ ადამიანის ყოველთვიური შემოსავალი 1000 ლარამდეა და უცხოურ ვალუტაში აქვს რაიმე ტიპის სესხი, თვეში შეუძლია გადაიხადოს მხოლოდ 25% საკუთარი შემოსავლის (არაუმეტეს 250 ლარი), ხოლო თუ სესხი და შემოსავალი ერთსა და იმავე ვალუტაშია (მაგალითისთვის ორივე ლარში) მაშინ მსესხებელს უფლება აქვს საკუთარი შემოსავლის 35% მიმართოს სესხის ყოველთვიურ გადასახდელში (ლარის შემთხვევაში არაუმეტეს 350 ლარი). ამასთან შემოსავალს გამოკლებული სესხის ყოველთვიური გადასახდელი უნდა აღემატებოდეს საარსებო მინიმუმს. მაგალითად, თუ შრომისუნარიანი მამაკაცის შემოსავალი 292 ლარია, მას არ შეუძლია აიღოს სესხი, რომლის ყოველთვიური გადასახადი იქნება 102 ლარი. მიუხედავად იმისა, რომ მისი ყოველთვიური

გადასახადი 35%ზე ნაკლებია საკუთარი შემოსავლის, მის მიერ სესხის გადასახადის გადახდის შემდეგ შემოსავლის სახით დარჩება 190 ლარი, რაც 2019 წლის ივლისის მონაცემებით საარსებო მინიმუმზე ნაკლებია.

თვიური გადასახადის და სესხის მაქსიმალური ვადის გათვალისწინებით, თუ სიტყვაზე 1000 ლარზე ნაკლები გაქვს შემოსავალი, მაქსიმუმ შეგიძლია 20,830 ლარი იპოთეკური სესხი და 8,983 ლარი სამომხმარებლო სესხი აიღო. თუ შენი ყოველთვიური შემოსავალი 2000 ლარია, მაშინ 58,325 ლარი იპოთეკური სესხი და 25,152 - სამომხმარებლო.

ყოველთვიური შემოსავალი ლარში	არაჰეჯირებული მაქს. ვადაზე/ საკონტაქტო შენატანების შემთხვევაში	ჰეჯირებულიმაქს. ვადაზე/ საკონტაქტო შენატანების შემთხვევაში
<1000	20% / 25%	25% / 35%
1000 – 2000		35% / 45%
2000 – 4000	25% / 30%	45% / 55%
>4000	30% / 35%	50% / 60%

ჰეჯირებული - რომელსაც სესხიც და შემოსავალიც ერთ ვალუტაში აქვს.

არაჰეჯირებული - რომელსაც სესხი და შემოსავალი სხვადასხვა ვალუტაში აქვს.

აქამდე არსებობდა ისეთი მიდგომა რომ მსგავსი ტიპის შეზღუდვები ეხებოდა მხოლოდ საბანკო სექტორს, თუმცა ეს რეგულაციები ეხება როგორც ბანკებს, ისე ლომბარდებს, მიკროსაფინანსოებს და ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელიც გასცემს არანაკლებ 19 სესხის ოდენობით ან შიდა განვადებას. ამ რეგულაციებმა გამოიწვია ის, რომ მიკროსაფინანსოების ბაზარი თითქმის მთლიანად გაქრა და ამასთან დიდი

საფრთხის წინაშე დგანან ლომბარდები. ამ კანონმდებლობის გათვალისწინებით რეგულაციები ეხებათ კერძო მევახშეებსაც, თუმცა ცხადია საკმაოდ რთულია სახელმწიფოს მხრიდან მათი კონტროლი.

რეგულაციების მიღებამდე ადამიანები სესხის გამცემთან შეთანხმებით განსაზღვრავდნენ იმ ვადას, რა ვადაშიც უნდა გადაეხადათ სესხი, თუმცა ახალი რეგულაციები სესხის გაცემის ვადებსაც შეეხო:

- სამომხმარებლო სესხი (მათ შორის საკრედიტო ბარათი, ოვერდრაფტი, განვადება) - მაქსიმუმ 4 წლიანი ვადით
- ავტო სესხი - მაქსიმუმ 6 წლიანი ვადით
- ახალი რეგულაციები იპოთეკურ სესხებზე ნიშნავს იმას, რომ ამ ტიპის სესხები გაიცემა მაქსიმუმ 15 წლიანი ვადით
- უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი 10 წლამდე ვადით შეიზღუდება სესხის გაცემის ახალი რეგულაციებით.

საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს კვლევის მიხედვით, საბანკო რეგულაციების გამო სესხის აღების პრობლემა გამოკითხულთა 64%-ს შეექმნა. 24%-ს პრობლემა არ შექმნია. ამავე კვლევის მიხედვით რეგულაციების ამოქმედების შემდეგ სესხის აღება გამოკითხულთა 85%-მა სცადა.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2019 წლის მაისის თვეში გამოქვეყნებულ მონეტარული პოლიტიკის ანგარიშში აღნიშნა, რომ 2019 წლის პირველი იანვრიდან სესხების გაცემის წინააღმდეგ ამოქმედებულმა რეგულაციებმა საკრედიტო აქტივობებზე ნეგატიური გავლენა იქონია. კერძოდ, ანგარიშში ნათქვამია რომ საკრედიტო პორტფელების ზრდის ტემპი შენელდა და მარტის თვის მონაცემებით 15% შეადგინა, როცა 2018 წლის იმავე პერიოდის მონაცემებით ზრდა 20% იყო. ამავე ანგარიშში ვკითხულობთ, რომ წლის დასაწყისში ამოქმედებული დაკრედიტების

შესახებ არსებული რეგულაციები პასუხისმგებლიანია და ამ რეგულაციებმა საკრედიტო აქტივობა შეანელა. ეროვნული ბანკის ინფორმაციით მათი მოლოდინი სწორედ ასეთი იყო.

ახალი რეგულაციების მიმართ უკმაყოფილობები მმართველი გუნდის წევრებმაც გამოთქვეს. ერთერთი იყო ქალაქ თბილისის მერი კახა კალძე. მან აღნიშნა რომ ეს რეგულაციები განსაკუთრებით დეველოპერებს და სამშენებლო სექტორს აზარალებს და მიიჩნევს რომ რეგულაციების გადახედვა აუცილებელია.

რეგულაციების მიმართ უკმაყოფილება გამოთქვა ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა და ისიც იმავეს იმედოვნებს რომ საბანკო რეგულაციები შერბილდება. მან აღნიშნა, რომ იგი ამ რეგულაციების გულმხურვალე მხარდამჭერი არ ყოფილა. ის თვლის რომ საქართველოს ერვონულმა ბანკმა ამ რეგულაციებით ქართულ ფინანსურ სისტემას დაადო „ჯავშანი, რომლის ადეკვატური კალიბრის ყუმბარები აქ არ ცვივა“.

ამ რეგულაციების მწარე შედეგები კერძო მეწარმეებმაც მალევე იწვნიეს საკუთარ თავზე. ჯერჯერობით არ არსებობს ზუსტი ციფრები, თუმცა არსებობს კონკრეტული გამოკითხვები მეწარმეებთან.

ინტერნეტმედია ტაბულას თქმით მათ გამოიკითხეს მეწარმეები, რომლებიც ამბობენ რომ საბანკო რეგულაციების შემოღების შემდგომ მათი გაყიდვები შემცირდა. ნაწილის თქმით ეს შემცირება 70 – 80% მდეა. ცხადია არ შეიძლება რაოდენობრივად მცირე გამოკითხულებით ვიმსჯელოთ მთლიანად ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე, თუმცა ფაქტია რომ ამ რეგულაციებს როგორც საზოგადოების ასევე სამთავრობო კრიტიკაც მოხვდა.[39]

2016 წელს ლარმა გაუფასურების მაქსიმუმს მიაღწია და ამ მიზეზით საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა რომ ეროვნულ ბანკთან ერთად შეემუშავებინა

[39] http://www.tabula.ge/ge/story/145479-suli-kbilit-gvichiravs-sesxebis-gacemis-shezghudvam-biznesi-daazarala

სესხების ლარიზაციის გეგმა. გეგმა მალევე შეიქმნა და 2017 წლის დასაწყისიდან ამოქმედდა. იგი მიზნად ისახავდა მოსახლეობის და საფინანსო სექტორის მხრიდან დოლარზე დამოკიდებულების შემცირებას.

ამავე გეგმის მიხედვით ადამიანებს რომლებსაც სესხი აღებული ქონდათ 2015 წლის 1 იანვრის შემდგომ დოლარში უძრავი ქონების უზრუნველყოფით, შეძლებდნენ მის გადატანას ლარში და ამასთან ისარგებლებდნენ სუბსიდიით რაც გულისხმობდა შემდეგს. ნებისმიერი ვინც სესხს გადაიტანდა ლარში, გადაიტანდა იმ დროისთვის არსებულ კურსს მინუს 20 პუნქტის ოდენობით. თუმცა მოხდა ისე, რომ სანამ მთავრობამ ეს გეგმა განახორციელა და ხალხმა გადაიყვანა საკუთარი სესხები ლარში, ლარი კვლავ გაუფასურდა 20 პუნქტით. შესაბამისად გამოვიდა ისე, რომ ხალხმა საკუთარი სესხები ისევ იმ კურსით გადაიყვანა ლარში რა კურსზეც მთავრობამ ეს გადაწყვეტილება მიიღო. სესხების აღება 100 000 ლარს ქვემოთ გაიცემოდა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში თუმცა მალევე მიხვდნენ ამ რეგულაციის ნაკლოვანებას და შემდეგი წლიდან ეს ზღვარი 200 000-მდე გაიზარდა.

ლარიზაციის გეგმა ახსნილი იყო იმით, რომ ამას უნდა შეემცირებინა ზეწოლა ლარზე და უფრო მეტად გაეჯანსაღებინა ეკონომიკა. ცხადია ეს მოსაზრება ეჭვქვეშ დგება, რადგამ თუ მომხმარებელი სესხის გადატანას გადაწყვეტდა ლარში მაშინ მთლიანი სავალუტო წნეხი გადავიდოდა ბანკებზე რადგან ეს ბანკები თავად იღებენ სესხებს უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად თუ ხალხი სესხს დაფარავდა ლარში ბანკს მისი დაკონვერტირება მოუწევდა დოლარში. ეს კი დოლარზე მოთხოვნას არანაირად არ შეამცირებდა.

თუ ეკონომიკური პოლიტიკა დარჩება ისეთივე როგორიც ახლაა და ეკონომიკის ზრდაც მოხდება იმავე პრინციპებით, ლარი კვლავ გაუფასურდება გამყარების ნაცვლად. ლარის კიდევ უფრო გაუფასურება გამოიწვევს ბანკების მხრიდან საპროცენტო განაკვეთის ზრდას, რადგანაც ეს მათთვის საშიშროებად იქცა მას

შემდეგ რაც თანხის კონვერტაცია თავად უწევთ უცხოურ ვალუტაში. ეს კი გამოიწვევს მეწარმეობის დაწყების კიდევ უფრო გართულებას.

რადგანაც საქართველოში ადამიანებს რესურსები შეზღუდულად აქვთ და არც იმის ფუფუნებაა რომ საინვესტიციო დანაზოგები შეაგროვონ, ბანკიდან აღებული სესხი საუკეთესო ხელშემწყობი იყო მეწარმეობის დასაწყებად. ლარიზაციის გეგმამ კი პოტენციურად გააძვირა სესხები. შესაბამისად, მეწარმეობის დაწყების კიდევ ერთი ბარიერი გაიზარდა ნაცვლად იმისა რომ მცირდებოდეს. ამასთან მთავრობამ შეზღუდა ონლაინ სესხების ფუნქციონირებაც. მთავრობის გადაწყვეტილებით, ონლაინ სესხების საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ზღვარი არ უნდა იყოს 100%-ზე მეტი.

ამასთან მთავრობამ შეზღუდა საქონლისა და მომსახურებების უცხოურ ვალუტაში გაყიდვა და თუ ადრე ბინის, მიწის ნაკვეთის ან თუნდაც კონკრეტული სამუშაოს გაყიდვისთვის ადამიანები იღებდნენ თანხას დოლარში, ახლა ეს ყველაფერი ხდება ლარში. ხდება მაშინ, როდესაც ლარი ვერ ასრულებს ფულის ფუნქციებს სრულყოფილად.

1) გაცვლის საშუალება - მეტნაკლებად ლარი ამ ფუნქციას ასრულებს თუ გავითვალისწინებთ იაფ ფასიან საქონელსა და მომსახურებას. რაც შეეხება მაღალფასიან საქონელს და მომსახურებას აქ ვითარება სხვაგვარადაა.

2) ღირებულების საშუალება - ამ ფუნქციაზეც იგივეს თქმა შეიძლება. ჩვენ შეიძლება პურს საკვებს ვაფასებთ ლარით, თუმცა როდესაც საქმე მიდგება ბინაზე მას აუცილებლად ვაფასებთ დოლარში.

3) დაგროვების საშუალება - ადამიანი აგროვებს იმ ქონებას რომელსაც ყველაზე მეტად ენდობა. მერკანტილური გაგებით ეს შეიძლება იყოს ოქრო ხოლო როდესაც საქმე ფულზე მიდგება, ადამიანი იწყებს იმ ვალუტის შეგროვებას, რომელიც ყველაზე მეტად სანდოა. ასეთად ქართველები არა ლარს, არამედ დოლარს აღქვამენ.

მთვარობის ეს გადაწყვეტილება არ უკრძალავს საკრედიტო კომპანიებს ბაზარზე განაგრძონ ფუნქციონირება. რამდენად მართებულია ეს რეგულაციები ამას მომავალი გვიჩვენებს. თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მხოლოდ თავისუფალი ბაზარი აძლევს საშუალებას მეტი ინვესტიციების მოზიდვას, მეტი საწარმოო საქმიანობის შექმნას და მეტ ინოვაციას, რაც დადებითად ვლინდება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლზე.

2.3 მეწარმეობის ხელშემწყობი რეფორმები საქართველოში

ლათინურად რეფორმა გარდაქმნას ნიშნავს, ასე რომ ეკონომიკური რეფორმა ეკონომიკის ძირეული გარდაქმნაა. ეკონომიკური რეფორმა იწვევს როგორც ეკონომიკური მოწყობის, ისე მისი მართვის სისტემის შეცვლას, შესაბამისად, ეკონომიკური რეფორმის რეალიზაცია სახელმწიფოს მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველზე ხორციელდება.

ეკონომიკური რეფორმის გამომწვევი ობიექტური მიზეზებია არსებული ეკონომიკური სისტემის რღვევა ან თუნდაც მისი დაბალი ეფექტიანობა და ეკონომიკური კრიზისი. ეკონომიკური რეფორმა ასევე შეიძლება ინიცირებული იქნეს სახელმწიფოს ხელმძღვანელობის მიერ სუბიექტური მიზნებიდან გამომდინარე, მაგალითად იმისათვის, რომ ქვეყანამ წაიწიოს რომელიმე საერთაშორისო რეიტინგში, ან დააჩქაროს ეკონომიკური ზრდა, იმისთვის რომ დაეწიოს ან გაასწროს რომელიმე სახელმწიფოს.

სამწუხაროდ არც თუ იშვიათია შემთხვევები, როცა ნამდვილი რეფორმის გატარების ნაცვლად, რეფორმატორის იმიჯის მოსაპოვებლად, ან შესანარჩუნებლად

მთავრობები რეფორმის იმიტაციას ახორციელებს. ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა ადვილი არ იყოს რეფორმის გამორჩევა ფსევდო რეფორმისაგან.

ეკონომიკური რეფორმა შეიძლება არ მოიცავდეს ქვეყნის მთელ ეკონომიკას და ეხებოდეს მის რომელიმე დარგს ან რომელიმე სფეროს. თითოეული მათგანი შეიძლება იყოს ყოვლისმომცველი ეკონომიკური რეფორმის ნაწილი.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში კომუნისტური ტიპის მმართველობაზე დაფუძნებული მბრძანებლური ეკონომიკა არაკონკურენტუნარიანობის გამო დაინგრა და ყოფილ კონმუნისტურ ქვეყნებში დღის წესრიგში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა დადგა.[40]

ისტორიაში ცნობილია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური რეფორმები. კერძოდ, ერთერთი კლასიფიკაციის თანახმად:

1) კლასიკური გადასვლა - რაც გულისხმობს საბაზრო დემოკრატიის გაფართოებას მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში 1860-1920 წლებში.

2) ნეოკლასიკური გადასვლა - რაც აისახა დემოკრატიზაციისა და საბაზრო რეფორმების პროცესში, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განხორციელდა. (დასავლეთ გერმანიაში. იტალიასა და იაპონიაში მე-20 საუკუნის 40-იან, ესპანეთსა და პორტუგალიაში 70-იან, ზოგიერთ ლათინურ ამერიკულ ქვეყნებში 70-80 წლებში, სამხეთ კორეასა და ტაივანში 80-იან წლებში).

3) ბაზარზე ორიენტირებული რეფორმები არაკომუნისტურ ქვეყნებში (დასავლეთ გერმანიასა და სხვა დასავლეთის ქვეყნებში მეორე მსოფლიო ომის შემდეგსამხრეთ კორეასა და ტაივანში გასული საუკუნის ადრეულ 60-იან, ჩილეში 70-იან წლებში)

[40] ვლადიმერ პაპავა - საქართველოს ეკონომიკა (2015 წ, გვ.35)

4) აზიური პოსტკომუნისტური ეკონომიკური რეფორმები (ჩინეთი მეოცე საუკუნის 70-იანი და ვიეტნამში გვიანი 80-იანი წლებიდან.[41]

ბალცეროვიჩის გეგმის თანახმად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას „შოკური თერაპიაა“ საჭირო, რაც გულისხმობს შემდეგ ღონისძიებებს:

1) ყველა სახეობის ფასების მრავალჯერადი მომატება, ინფლაციური პროცესების შეგნებული ხელშეწყობა ბაზარზე წონასწორობის დამყარების მიზნით;

2) მოსახლეობის შემოსავლების მკაცრი შეზღუდვა;

3) საპროცენტო განაკვეთების მნიშნველოვანი გაზრდა და ბრუნვაში არსებული ფულის მასის შეზღუდვა. მოსახლეობის მიერ ფულის დაზოგვის სტიმულირების მიზნით ანაბრებსა და სხვა დეპოზიტებზე პროცენტების გაზრდა;

4) კაპიტალურ დაბანდებათა შემცირებისა და წამგებიან საწარმოთა დოტირებაზე უარის თქმით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შეკვეცა;

5) სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის მიზნით სახელმწიფო სესხის - ობლიგაციების გამოშვება;

6) საგადასახადო სისტემების მოწესრიგება და მისი უნიფიცირება;

7) აშშ დოლარის მიმართ ფულის ერთეულის ერთიანი გაცვლითი კურსის შემოღება და შიდა ბაზარზე მისი კონვერტირების უზრუნველყოფა;

8) ახალი საბაჟო ტარიფების შემოღება, იმპორტის შეზღუდვისა და ექსპორტის სტიმულირების მიზნით;

9) მთავრობის რეალურ შესაძლებლობათა ფარგლებში, მოსახლეობის ყველაზე მეტად გაჭირვებულთათვის სოციალური დახმარებს გაწევა;

10) მონოპოლიური სტრუქტურების ლიკვიდაცია და საწარმოთა საქმიანობაში სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ჩარევაზე უარის თქმა.[42]

საბაზრო ეკონომიკის სწორი ფორმირებისა და მუშაობისთვის აუცილებელია საზოგადოებას გააჩნდეს კერძო საკუთრება. კერძო საკუთრების არ არსებობის გარეშე

[41] Balcerowicz, 1995, გვ 145
[42] Aleksashenko 1990 წ. გვ. 21

რთულია ადამიანი აიძულო მეწარმეობა დაიწყოს, მაშინ როცა იცის, რომ საკუთრება არ გააჩნია და სარგებელს თავად არ იღებს. თანამედროვეობაში სახელმწიფოები ამას აღწევენ კერძო საკუთრების ინსტიტუტების დამკვიდრებით და ინვესტიციების ხელშეწყობით, მაგრამ ამასთან ერთად აუცილებელია სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემა კერძო სექტორისთვის. როცა კონკრეტული მიწა, შენობა, ხე-ტყე, შენობა-ნაგებობა არის სახელმწიფო საკუთრებაში, რაც იმას ნიშნავს რომ მას კონკრეტული მესაკუთრე არ გააჩნია, იგი ვერანაირი სარგებლის მომტანი ვერაა საერთო კეთილდღეობისათვის. პირიქით იგი ფასს უკარგავს იმ სიკეთეებს, რომლებიც კერძო საკუთრებაში გააჩნიათ ადამიანებს.

საქართველოში პრივატიზება რეგულირდებოდა 1997 წლის 30 მაისს მიღებული კანონით „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ". ამ კანონის ამოქმედების შემდეგ ყველა მანამდე არსებულმა კანონმა ძალა დაკარგა. ამ კანონმა ხელი შეუწყო იმას, რომ არა მხოლოდ სახელმწიფო საწარმოები განვითარებულიყო და გარდაქმნილიყო, არამედ იმასაც, რომ ჩამოყალიბებულიყო კერძო სექტორი, რომელიც იმ დროისთვის ახალი ხილი იყო ფართო საზოგადოებისთვის. საბოლოო ჯამში ეს პროგრამა დაეხმარა საქართველოს პირველი ნაბიჯები გადაედგა კერძო საკუთრებისკენ და კერძო მეწარმეობის განვითარებისკენ.

არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში, კერძო სექტორი მზარდი ტენდენციით ხასიათდება. მსოფლიო მიხვდა, რომ აზრი აღარ აქვს სახელმწიფო წარმოებას, რადგან იმავეს კერძო სექტორი უფრო უკეთ და ხარისხიანად აკეთებს.

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს როდესაც ამერიკა ცდილობდა საკუთარი ოთხივე მხარის ერთმანეთთან სარკინიგზო ხაზით დაკავშირებას, კონგრესმა სამი კომპანია დააფინანსა: Union Pacific Railroad, Central Pacific Railroad და Northern Pacific Railway. საბოლოოდ ამ სამივე კომპანიას ფინანსური პრობლემები შეექმნა და ერთერთი მათგანი Union Pacific Railroad მალევე გაეხვა ფინანსურ სკანდალში,

რამდენჯერმე გაკოტრდა და უხარისხოდ დაგებული რკინიგზის ხელახალი დაგება რამდენჯერმე მოუწია.

ამავე პერიოდში ჯეიმს ჯეი ჰილიმ მთავრობის დახმარების გარეშე სენტ პოლიდან სიეტლამდე საკუთარი სახსრებით რკინიგზა გაიყვანა. ამ რკინიგზის სიგრძე 13467 კილომეტრია. ჩნდება რეალური კითხვა თუ როგორ გააკეთა ჯეიმს ჰილმა ის, რაც ვერ გააკეთა Union Pacific-მა მთავრობის დახმარებით. აქ მთავარი სწორი სტიმულები იყო. Union Pacific-ს მთავრობა ყოველი დაგებული კილომეტრისთვის უხდიდა თანხას. რას გააკეთებს ნებისმიერი რაციონალურად მოაზროვნე ადამიანი? არ ააშენებს სწორ რკინიგზას და მაქსიმალურად ეცდება დახლართოს იგი რათა მეტი ფული მიიღოს. რაც შეეხება ჯეიმს ჰილს, იგი საკუთარ კაპიტალს ხარჯავდა. იმისთვის რომ მომავალში მოგება მიეღო მისი რკინიგზა სწორი და გამართული უნდა ყოფილიყო. მაშინ როდესაც ჯეიმს ჰილის კომპანიამ 100 წელზე მეტი იარსება და საბოლოოდ 1970 წელს სხვა კომპანიას შეუერთდა, Union Pacific-მა ათი წლის თავზე დაასრულა მოღვაწეობა.

კერძო სექტორი განვითარების ტენდენციებს ამჟღავნებს საქართველოშიც. ნელ-ნელა ქართული კერძო წარმოება იძენს სამეწარმეო საქმიანობის ძირითად შინაარსსა და მამოძრავებელ ძალას. ეს უკანასკნელი კი როგორც უკვე მრავალგზის აღვნიშნეთ, ქვეყნის ეკონომიკური მდგრადი განვითარების აუცილებელი წინაპირობაა.

რატომ არის კერძო სექტორი პოტენციურად უფრო ძლიერი ვიდრე სახელმწიფო სექტორი? ეს იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, საწარმოთა ტიპებიდან ყველაზე მეტად მოგებაზე და სარგებლის მიღებაზე კერძო სექტორია ორიენტირებული. წარმოიდგინეთ საკუთარი თავი. თქვენ ყველაფერს აკეთებთ იმისათვის რომ საკუთარი და საკუთარი ოჯახის კეთილდღეობა გაზარდოთ თუმცა არ მგონია იგივე წარმატებით იშრომოთ იმისათვის რომ თქვენი მეზობლის კეთილდღეობა გააუმჯობესოთ. კერძო საწარმო საკუთარი თავისთვის მუშაობს, მოგებას საკუთარ თავს ახმარს ისე როგორც უნდა და ყველა გადაწყვეტილებას იღებს

საკუთარ ინტერესებიდან გამომდინარე, მაშინ როდესაც სახელმწიფო საწარმო არ მუშაობს კერძო ინტერესებიდან გამომდინარე. იგი სხვა საწარმოთა ტიპებისგან ყველაზე მეტადაა ორიენტირებული მოგებისკენ მაქსიმალურ სწრაფვასა და ზრდისკენ. სწორედ ამითაა გამოწვეული პრივატიზაციის აუცილებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკის მქონე ყველა ქვეყანაში კერძო საკუთრების დამკვიდრება, მისი ზრდისა და განვითარების ხელშეწყობა აუცილებელი პირობაა. ამასთან აუცილებელია გარდამავალ პერიოდში სახელმწიფომ მაქსიმალურად უზრუნველყოს სახელმწიფო ქონების პრივატიზება, რაც ეკონომიკის გაჯანსაღების საუკეთესო წინაპირობაა.

საქართველოში პრივატიზაციის პროცესი იმდენად აქტიური აღარაა როგორც 90-იანი წლების ბოლოს და 2000-იანების დასაწყისში, თუმცა პრივატიზება კიდევ მიმდინარეობს. პრივატიზაციის პროცესში აუცილებელია მკაცრად იყოს დაცული არსებული კანონმდებლობა და მხოლოდ მისი მკაცრი გათვალისწინებით მოხდეს ქონების გადაცემა კერძო სექტორისთვის. მეორე საკითხია ის, თუ რამდენად სწორადაა კანონი დაწერილი და რამდენად სამართლიანად ხდება ქონების გადაცემა კერძო სექტორისთვის. არასწორი პოლიტიკის შედეგად შესაძლოა მივიღოთ არა პრივატიზაცია, არამედ სახელმწიფო ქონების მიტაცება ინტერესთა ჯგუფების მიერ, რამაც შესაძლოა სავალალო შედეგები გამოიწვიოს.

მიმდინარე ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესის უმთავრეს მიზანს კერძო სექტორის ჩამოყალიბება და მეწარმეობის განვითარება წარმოადგენს. ამ ეკონომიკური მოვლენის განვითარებისთვის უმთავრეს როლს პრივატიზაციის სამართლიანი პროცესი ასრულებს.

ჩვენს ქვეყანაში იდეაფიქსად იყო ქცეული სოციალური საზოგადოებრივი სისტემის შეცვლა ახალი ჯანსაღი კაპიტალისტური სისტემით. საქართველოს მაგალითზე, სოციალისტური სამეურნეო სისტემის მინუსი იყო ის, რომ მან ვერ

უზრუნველყო პროგრესის სათანადო დონე და ასევე წარმოების დონე იყო იმაზე დაბალი ვიდრე უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა ზემოთაღნიშნული სისტემა ვერ ხასიათდებოდა ეფექტიანობით და არ იყო მომგებიანი, იმისდა მიუხედავად იყო თუ არა მოგებაზე ორიენტირებული.

უკვე განხილული ფაქტორების გარდა ქართული სოციალისტური სამეურნეო სისტემა არ ხასიათდებოდა კონკურენტუნარიანობით, ახასიათებდა შემოსავლების სიმცირე, საზოგადოებას უჭირდა დანაზოგების გაკეთება, ინვესტიციური აქტივობა იყო დაბალი, რაც აღნიშნული სისტემის დამახასიათებელია.

ამ ფაქტორების მოქმედებამ გამოიწვია ადამიანის ეკონომიკური ინტერესების ყოველდღიური შეუთავსებლობა მოქმედი სისტემის ინტერესებისადმი სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ საქართველოს დამოუკიდებელი განვითარებისთვის სჭირდებოდა ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპი, სწორედ ამიტომ მოხდა ქვეყნის გადასვლა კაპიტალისტურ წყობაზე.

ტრანსფორმაციის მიმდინარეობისას საკუთრების სფეროში ყალიბდება ახალი ეკონომიკური ურთიერთობები. ეკონომიკის ისტორია გვიჩვენებს, რომ ყველა იმ სახელმწიფომ რომელის ეროვნული მეურნეობის უფრო დიდი წილი სახელმწიფო სექტორს ქონდა, ხოლო კერძო მეწარმეობა იყო შეზღუდული, საბოლოო ჯამში ეკონომიკურ სფეროში მარცხი განიცადა. სწორედ ამიტომ ითვლება რომ თუ ქვეყანაში სახელმწიფო სექტორი უფრო მასშტაბურადაა წარმოდგენილი ვიდრე კერძო სექტორი, ამ ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების დაბალი დონეა კაპიტალისტური ქვეყნებისგან განსხვავებით.

თანამედროვე საქართველოს კერძო სექტორი ძირითადად მცირე და საშუალო საწარმოებისგან შედგება, რაც განვითარებადი ქვეყნებისთვის დამახასიათებელია. ეს საწარმოები შეიძლება ითქვას არცთუ ისე დიდი ხანია რაც დამოუკიდებლად

ფუნქციონირებენ და სწორედ ამიტომაა დიდი ძალისხმევა საჭირო კერძო სექტორის შემდგომი განვითარებისთვის.

ცხადია რთულია ძლიერი კერძო სექტორის ჩამოყალიბება, თუმცა აუცილებელია საქართველოს ყველა მთავრობის მიზანი იყოს ამ პროცესის მაქსიმალური დაჩქარება. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან გაგვიჭირდება იმ ჩამორჩენის აღმოფხვრა განვითარებულ მსოფლიოსთან რომელი ჩამორჩენაც სოციალიზმის პერიოდში განვიცადეთ.

რით შეიძლება იყოს გამოწვეული პრივატიზაციის განხორციელება? ამის მასტიმულირებელი შეიძლება გახდეს ის რომ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ესა თუ ის საწარმო დაბალი ეფექტიანობით გამოირჩეოდეს. ეფექტიანობის ამაღლებისთვის მთავრობამ შესაძლოა მიმართოს ამ კონკრეტული სექტორის პრივატიაზაციას რათა ამაღლდეს მისი ეფექტიანობა.

პრივატიზაციის განხორციელების წინაპირობა ასევე შეიძლება გახდეს საზოგადოების დიდი სურვილი კერძო საკუთრებისა. მაგალითად, საქართველოში მეოცე საუკუნის რუსეთის ანექსიამდე ყველა გოჯ მიწას ყავდა საკუთარი მფლობელი. დღეს სახელმწიფო ქონების უდიდესი ნაწილი არაპრივატიზირებულია, ხოლო მოსახლეობა განიცდის ქონების ნაკლებობას.

პრივატიზაცია ზრდის მწარმოებლურობას, ზრდის კონკურენციას ბაზარზე, რაც იწვევს ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებას. კონკურენციის ზრდა საციცოცხლოდ მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნის ბაზრისთვის. ასეთ დროს იზრდება მწარმოებლურობა კერძო სექტორში რაც პირდაპირ ამცირებს სახლმწიფო სტრუქტურების მხრიდან მონოპოლიური გავლენის გავრცელებას ბაზარზე.

პრივატიზაციის შემდგომ ეკონომიკური ობიექტები იძენენ მფლობელებს, რომლებიც თავად იზრუნებენ ამ ობიექტების პერსპექტიულ მომავალზე. როდესაც საქართველოში პრივატიზაცია დაიწყო, თითქმის ყველა საწარმო გაძარცვული იყო

და უმძიმეს ვითარებაში უწევდათ არსებობა. მაშინ სახელმწიფო არჩევანის წინაშე იდგა, დაეფინესებინა ამ საწარმოების ფუნქციონირება თუ გადაეცა ისინი კერძო სექტორისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პრივატიზაციის პროცესი საკმაოდ აქტიურად დაიწყო და დღესაც მიმდინარეობს, ჯერ კიდევ უამრავი სახელმწიფო ქონებაა გადასაცემი კერძო სექტორისთვის. პროცესს ის აჭიანურებს რომ ბიუროკრატიულ პროცედურებს გარკვეული დრო მიაქვს, რაც საბოლოო ჯამში ცუდად აისახება პრივატიზაციის პროცესზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში დამახასიათებელი იყო ზომიერად რადიკალური, რადიკალური და ევოლუციური პრივატიზაციის ფორმები.

ჩეხეთში, უნგრეთში, ბულგარეთსა და სლოვაკეთში მიმართეს ზომიერად რადიკალურ პრივატიზაციას. გარდა იმისა რომ ისინი ახორციელებდნენ სწრაფ პრივატიზაციას, ცდილობდნენ რომ აქცენტი გაეკეთებინათ ინვესტიციებსა და ტექნოლოგიურ მოდერნიზაციაზე.

ზომიერად რადიკალური პრივატიზაცია გულისხმობს სწრაფი პრივატიზაციის განხორციელებასთან ერთად ინვესტიციებისა და სწრაფი მოდერნიზაციის განხორციელებას.

რადიკალური ტიპი ითვალისწინებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების რაც შეიძლება სწრაფად მიყიდვას კერძო სექტორისათვის, მათ შორის შეიძლება იყვნენ უცხოელებიც.

რაც შეხება ევოლუციურ ტიპს. ამ დროს ეკონომიკური ობიექტის საკუთრების უფლება ნაწილდება სახელმწიფოსა და საწარმოებს შორის, ხდება საწარმოების კომერციალიზაცია, თვითდაფინანსება და თვითმმართველობაზე გადასვლა იმ პირობით, რომ შენარჩუნებულია სახელმწიფო საკუთრება.

ერთერთი ყველაზე სწორი, სამართლიანი და სოციალურად პასუხისმგებლიანი აღმოჩნდა პრივატიზაცია ჩეხოსლოვაკიური მეთოდი კუპონებით. 1991 წელს ქვეყნის ყველა სრულწლოვანმა მოქალაქემ მიიღო სახელობითი საკუპონე წიგნაკი. ეს წიგნაკები არ ექვემდებარებოდნენ გაყიდვა-გასხისებას. ამ წიგნაკების მფლობელებს შეეძლოთ დაუფლებოდნენ აქციების პაკეტებს. ამ სისტემას დადებითი კიდევ ის ქონდა რომ იძლეოდა საშუალებას საკმაო ფართოდ გავრცელებულიყო მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში. ეს ხელს უწყობდა მეწარმეთა კლასის ჩამოყალიბებას და დიდი პრივატიზების კრიმინალიზაციის თავიდან აცილებას.

თავი 3. საგადასახადო პოლიტიკის გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე

3.1 გადასახადების სახეები და საგადასახადო სისტემა საქართველოში

გადასახადები არის ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე, რომელსაც ვერცერთი კერძო მეწარმე ვერ გაექცევა. გადასახადების შექნის იდეა თავიდანვე იყო ის, რომ სახელმწიფოების მმართველობაში არსებულ კონკრეტულ ჯგუფს, იქნებოდა ეს მთავრობა თუ სამეფო, ქონოდა რესურსი იმითვის, რომ დაეცვა საკუთარი ქვეყანა და გაეტარებინა კონკრეტული რეფორმები. გადასახადები კი ამისთვის მთავარ ფინანსურ წყაროს წარმოადგენდა. ფულის შექმნამდე გადასახადები სხვადასხვა რესურსის სახით არსებობდა.

გადასახადების წარმოქმნა საკმაოდ დიდი ხნის წინ მოხდა. ის გაჩნდა პირველ სახელმწიფოსთან, პირველ საქონლის წარმოებასთან და იმ ინსტიტუტების შექმნასთან ერთად (სასამართლო, ჯარი, სენატი და სხვ.) რომლებიც მონაწილეობდნენ სახელმწიფოს მართვაში. მისი მთავარი ფუნქციაც სწორედ ამ ინსტიტუტების შენახვა გახლდათ. [43]

შუა საუკუნეებში საგადასახადო სისტემა ჯერ კიდევ არ იყო სრულყოფილად ჩამოყალიბებული. მაშინდელი სახელმწიფო მმართველების ძირითადი შემოსავალი იყო გამარჯვებული ომებიდან მიღებული შემოსავლები, რეგალიებით მიღებული შემოსავლები და სხვ. გადასახადებს არ ახასიათებდათ სისტემურობა და სტაბილურობა. გარდა ამისა გადასახადის ფორმაც არ იყო კონკრეტულად განსაზღვრული. გადასახადი შეიძლებოდა ყოფილოყო რაიმე სამუშაო, ხორბალი, ცხოველები ან თუნდაც ადამიანები. გადასახადის ფორმა განისაზღვრებოდა მმართველის საჭიროებიდან გამომდინარე.

[43] New internationalist - A short history of TAXATION 2 ოქტომბერი2008

გარდა იმისა რომ გადასახადები არასტაბილური და არა კონკრეტული სახის იყო, მათი ზომაც განსაკუთრებით მაღალი იყო. ადამიანები თავიდანვე პროტესტით ხვდებოდნენ მთავრობების ასეთ ქმედებებს, შესაბამისად ისტორიაში უამრავი მაგალითი გვაქვს იმისა თუ როგორ უჯანყდებოდნენ სახელმწიფოს ადამიანები, გადასახადების ზომის გამო.[44] ასეთი აჯანყებები ხშირად გადაზრდილა საომარ ქმედებებში. ერთერთი ასეთი იყო 1524-1525 წლებში დღევანდელი გერმანიის ტერიტორიაზე არსებული ე.წ. „გლეხთა ომი გერმანიაში“. ომს ძირითადად ეკონომიკური ხასიათი ქონდა და გამოწვეული იყო გადასახადების მაღალი დონით. ომი საკმაოდ მასშტაბური იყო და დღევანდელი მონაცემებით მასში 300 000ზე მეტი ადამიანი იყო ჩართული და 100 000ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა. [45]

პროტესტს მაღალი გადასახადების წინააღმდეგ მხოლოდ ადრე არ გამოხატავდნენ. თანამედროვე მსოფლიოშიც ხშირად გამოდიან ადამიანები გადასახადების გასაპროტესტებლად. 2018 წელს ემანუელ მაკრონის პრეზიტენტად გახდომის შემდეგ, საფრანგეთში მიიღეს ახალი ე.წ. საწვავის გადასახადი რასაც მაშინვე მოყვა ადამიანების პროტესტი. პროტესტმა საკმაოდ მასშტაბური ხასიათი მიიღო და იყო პოლიციასთან შეტაკებებიც. ამ აქციებს ყვითელ „ჟილეტიანებს აქციები“ ეწოდა.

დღეს ყველამ ვიცით რატომ ვიხდით გადასახადებს, თუმცა ეს დასაბუთება ნელნელა ყალიბდებოდა საზოგადოებაში. თავდაპირველად ეს განიხილებოდა როგოც საჩუქარი ხელმწიფეს, შემდგომში უკვე იქცა თხოვნად სახელმწიფოს მხრიდან საერთო მიზნების მხარდასაჭერად. განვითარებიბის კიდევ ერთ ეტაპზე გადასახადები იქცა შემოწირულობად, რომელსაც მოსახლეობა გასცემდა სახელმწიფო ინტერესებისთვის. შემდგომში ითვლებოდა, რომ ეს იყო ვალი სახელმწიფოს წინაშე. დღეს კი ყველანი ვთანხმდებით რომ გადასახადები ეს არის აუცილებელი სახადი იმისთვის, რომ იცხოვრო ცივილიზებულ სამყაროში.

[44] https://en.wikipedia.org/wiki/List_of_historical_acts_of_tax_resistance
[45] https://en.wikipedia.org/wiki/German_Peasants%27_War

სხვანაირად ადამიანი მოკლებული იქნება ყველა იმ სიკეთეს რასაც დღევანდელობა გვთავაზობს.

თანამედროვე განვითარებულ მსოფლიოში ყველა თანხმდება იმაზე, რომ გადასახადები აუაცილებელია ფუნდამენტური მტკიცე სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის და იმისთვის რომ შესაბამისი მომსახურებები სახელმწიფოს მხრიდანაც იქნაც გაწეული.

ეკონომისტებს დიდიხანია აწუხებთ კითხვა თუ როგორი უნდა იყოს საუკეთესო საგადასახადო სისტება? სახელმწიფოს ჭირდება არა მხოლოდ საგადასახადო სისტემა, არამედ ისეთი საგადასახადო სისტემა, რომელიც დაფუძნებული იქნება მეცნიერულ თეორიებზე.

ასეთი თეორია ადამ სმიტმა საკუთარ ნაშრომში „გამოკვლევა ხალხის სიმდიდრის, ბუნების და მიზეზების შესახებ“ ჩამოაყალიბა საგადასახადო სისტემის ძირითადი პრინციპები. ამ პრინციპებს დღემდე განსაკუთრებული მნიშვნველობა ენიჭება.

1) სამართლიანობის პრინციპი - სახელმწიფო ხელქვეითები ვალდებულნი არიან საკუთარი შესაძლებლობების შესაბამისად მონაწილეობა მიიღონ სახლმწიფოს შენახვაში შემოსავლების შესაბამისად, რამდენადაც ისინი სარგებლობენ სახელმწიფოს მფარველობით და დაცვით.[46]

2) განსაზღვრულობის პრინციპი - ის გადასახადები რომლებიც ყოველი ადამიანის, ვალდებულებას წარმოადგენს, აუცილებელია ზუსტად იყოს განსზაღვრული და არა შემთხვევითობის პრინციპით. გადასახადის თანხა, მეთოდი, ვადები განსაზღვრული უნდა იყოს მკაფიოდ და ნათლად. განუსაზღვრელობა წარმოშობს ამპარტავნებას და ხელს უწყობს ხალხის მოსყიდვის რისკს, რომლებიც კრეფენ გადასახადებს.

[46] http://files.libertyfund.org/files/220/0141-02_Bk.pdf

3) მოხერხებულობის პრინციპი - გადასახადი უნდა იქნეს გადახდილი იმ დროს და იმ ხერხით, როგორც და როცა გადამხდელისთვის იქნება უფრო მეტად მოსახერხებელი.

4) ეკონომიის პრინციპი - ყოველი გადასახადი იმგვარად უნდა იყოს დაგეგმილი და დამუშავებული , რომ ის იღებდეს და აკავებდეს მოსახლეობის ჯიბიდან იმაზე ნაკლებს, რასაც მოაქვს სახელმწიფოსთვის ზიანი. [47]

ერთერთი ამერიკელი ეკონომისტის ჰენრი ჯორჯის აზრით საყოველთაო კეთილდღეობის გასაზრდელად აუცილებელი იყო ყველა სახის გადასახადის გაუქმება და მხოლოდ ერთი გადასახადის, მიწის გადასახადის შემოღება. მისი აზრით ამ გადასახადის თავიდან აცილება და დამალვა ყველაზე რთული იქნებოდა. [48] მიუხედავად იმისა რომ ამ მოსაზრების საპირწონედ უამრავი მხარდამჭერი დასკვნა გავრცელდა დღემდე ვერცერთმა ქვეყანამ ვერ გაბედა ამ სისტემის დანერგვა.

საგადასახადო სისტემების განვითარება-დახვეწის პროცესში უამრავი ტიპის გადასახადი გაჩნდა. პირველ რიგში განვიხილოთ პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები.

1) პირდაპირია გადასახადი, რომელსაც, როგორც წესი, იხდის გადასახადის სუბიექტი (პირი, რომელიც იბეგრება) თავისივე შემოსავლიდან ან/და მის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე. მაგ.: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, ქონების გადასახადი;

2) არაპირდაპირი გადასახადი, როგორც წესი, შედის მიწოდებული საქონლის/მომსახურების ფასში, ზრდის ფასს და მას იხდის საბოლოო მომხმარებელი გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის/მომსახურების შეძენისას. მაგ.: დღგ, აქციზი, იმპორტის (საბაჟო) გადასახადი.

[47] Adam Smith - An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations
[48] https://www.econlib.org/library/Enc/bios/George.html

გარდა ამისია გადასახადები იყოფა პროგრესულ, რეგრესულ, პროპორციულ და ფიქსირებულ გადასახადებად.

1) პროგრესული გადასახადი - ეს არის გადასახადი რომელიც იზრდება გადამხდელის შემოსავლების ზრდასთან ერთად. მაგალითისთვის თუ მეწარმე 100 000 ლარამდე მოგებას ღებულობს ის იხდის 20% გადასახადს, ხოლო თუ მისი შემსავალი ამ თანხას აცდება მაშინ ის უფრო მეტს გადაიხდის. ცხადია გადასახადი არასამართლიანია და იწყვევს უთანასწორობას მეწარმეებს შორის. ამ შემთხვევაშ შეგვიძლია ჩავთვალოთ რომ მეწარმოების სტიმულირებისთვის ამ ტიპის გადასახადის გამოყენება დაუშვებელია. [49]

2) რეგრესული გადასახადი - ასეთი გადასახადის არსებობისას მეწარმე მით უფრო ნაკლები განაკვეთით იხდის გადასახადს, რაც მეტია მისი შემოსავალი ან მოგება. სამართლიანად არც ამ გადასახადის ჩათვლა არ შეიძლება, რადგანაც იგი ასტიმულირებს მხოლოდ მსხვილ მეწარმეებს, მცირე მეწარმეებისთვის კი საქმიანობას ართულებს. [50]

3) პროპორციული - პროპორციული ტიპის გადასახადი ყველაზე მეტად სამართლიანია. ამ დროს ყველა თანაბარი განაკვეთით იხდის გადასახადებს.[51] პროპორციული გადასახადის მაგალითია საშემოსავლო გადასახადი საქართველოში.[52]

4) ფიქსირებული გადასახადი - ეს არის გადასახადი, როდესაც არა გადასახადის განაკვეთი, არამედ კონკრეტული თანხაა დაწესებული გადასახდელად რაც ყველა ადამიანისთვის ერთია.

ამასთან გადასახადები შეიძლება იყოს როგორც საერთო სახელმწიფოებრივი, ასევე ადგილობრივი. საერთო სახელმწიფოებრივ გადასახადებს მიეკუთვნება გადასახადები, რომელთა გადახდა სავალდებულოა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

[49] https://www.investopedia.com/terms/p/progressivetax.asp
[50] https://www.investopedia.com/terms/r/regressivetax.asp
[51] https://www.investopedia.com/terms/p/proportionaltax.asp
[52] https://www.rs.ge/5117

მათ სხვანაირად სავალდებულო გადასახადებს უწოდებენ. საქართველოში გადასახადების ამ ტიპს მიეკუთვნება საშემოსავლო, მოგების და იმპორტის გადასახადები, დღგ და აქციზი. რაც შეეხება ადგილობრივ გადასახადებს მიეკუთვნება გადასახადები, რომლებიც დადგენილია კანონმდებლობით და რომელთა შემოღების უფლება აქვთ სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს. ასეთი გადასახადები გადაიხდება შესაბამისი ადგილობრივი ერთეულის ბიუჯეტში. [53]

გადასახადების ძირითადად ოთხ სახეს ვიცნობთ:

1) გადასახადები შემოსავალზე - მოიცავს საშემოსავლო გადასახადს, მოგების გადასახადს, გადასახდს კაპიტალურ შემოსავლებს და დაქირავებით მუშაობისას მიღებულ შემოსავლებს.

2) გადასახადები ქონებაზე - მოიცავს ქონების ფლობის გადასახადს, მემკვიდრეობის ან ჩუქების გადასახადს, ექსპარტრიაციის გადასახადს (ქონების ქვეყნიდან გატანის გადასახადი)

3) გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე - მოიცავს დამათებიტი ღირებულების გადასახადს (დღგ), გაყიდვების გადასახადს (Sales Tax), აქციზს გადასახადს, საბაჟო გადასახადს.

4) ფარული გადასახადები - მოიცავს სახელმწიფო ვალს და ინფლაციით გამოწვეულ დანაკარგებს.

რაც შეეხება საგადასახადო პოლიტიკას საქართველოში. მთლიანი შიდა პროდუქტის კომპონენტებიდან ერთი-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი კომპონენტი არის გადასახადები. ეს მუხლი ლოგიკურად ასეც უნდა იყოს, რადგან საქართველოში ფაქტობრივად 1996 წლამდე სახელმწიფო ინსტიტუციონალური საფუძვლები თითქმის არ არსებობდა. 1997 წელს შევიდა ძალაში პირველი საგადასახადო კოდექსი, რომელიც 21-ზე მეტ გადასახადს და ამასთანავე ძალიან მაღალ განაკვეთებს

[53] https://www.rs.ge/4771

ითვალისწინებდა, რამაც, თავის მხრივ, ქვეყანაში წარმოშვა უამრავი პრობლემა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი კორუფციაა.

მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველო გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო, საქართველოში მწვავედ დადგა საკითხი გადასახადების გადახდასთან დაავშირებით. 2005 წლის საგადასახადო კოდექსის შემოღებამდე საკმაოდ რთულად იყო სიტუაცია.

ახალმა საგადასახადო კოდექსმა ძირეულად შეცვალა ძველი სისტემა. მოხდა გადასახადების შემცირება, გამარტივდა და დარეგულირდა გადასახადის გადახდის პროცედურები, აღმოიფხვრა კორუფცია და უფრო მეტად ეფექტიანი გახდა გადასახადების მოსახლეობიდან ამოღება. ცხადია ამან პირდაპირ პროპორციულად გამოიწვია სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდა. ხელისუფლებამ აღიარა რომ შემცირებული გადასახადები ხელს უწყობდა მეწარმეობის და ეკონომიკის ზრდას, თუმცა ეს ყველაფერი არ იყო მორგებული სახლმწიფო პოლიტიკის გამტარებელ დარგებთან.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში მიღწეული იქნა მნიშვნელოვანი წარმატებები ფისკალური რეფორმის მიმართულებით. გატარდა რადიკალური ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში, 2005 წლის 1 იანვარიდან ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომლის მიხედვით შემცირდა გადასახადების ოდენობა, გამარტივდა ადმინისტრაციული მექანიზმები, ჩამოყალიბდა მყარი სამართლებრივი ბაზა, ლეგალური ბიზნესის მხარდაჭერისათვის. გადამხდელების მიმართ გამკაცრდა კონტროლის მექანიზმები. შემოღებულ იქნა საგადასახადო დავების წარმოების წესი. არსებული 21 გადასახადიდან რაოდენობა შემცირდა 6-მდე.[54]

ახალი საგადასახადო კოდექსის მიღების შემდგომ პერიოდში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის შესანარჩუნებლად ინვესტორებისა და ექსპორტის

[54] საქართველოს ეკონომიკა - ვლადიმერ პაპავა 2015 წ

წახალისების მიზნით განხორციელებული ცვლილებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი, რომ 2007 წლიდან ასევე მოხდა გადასახადების ლიბერალიზაცია და ეს პროცესი გაგრძელდა შემდგომ წლებშიც.

როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი ბოლო 13 წლის განმავლობაში გაორმაგდა, ასევე გაიზარდა ცხოვრების სტანდარტები, გაზრდილია ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობაც, ხოლო გადასახადების ამოღება, მიუხედავად გადასახადების რაოდენობისა და განაკვეთის შემცირებისა, 3-ჯერ არის გაზრდილი. [55]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 2005 წლიდან ახალი საგადასახადო კოდექსი შევიდა ძალაში. ამ კოდექსით შეტანილმა ცვლილებებმა რადიკალურად შეცვალა საქართველოში არსებული ფისკალური მდგომარეობა. არსებული 21 გადასახადიდან მხოლოდ ექვსი გადასახადი შენარჩუნდა:

1) საშემოსავლო გადასახადი
2) მოგების გადასახადი
3) დამატებული ღირებულების გადასახადი
4) საბაჟო გადასახადი
5) აქციზი
6) ქონების გადასახადი

აღნიშნული რეფორმები იმდენად დადებითად შეფასდა მსოფლიოში რომ 2009 წელს გამოკვლეულ ფორბსის კვლევაში საქართველო მე-4 ადგილს იკავებდა. [56] მიუხედავად ასეთი დადებითი შეფასებისა, მოვლენები ისე ვერ განვითარდა როგორც ამ რეფორმას უნდა მოყოლოდა. აღმოჩნდა გარკვეული ტიპის ხარვეზები, რომლებიც ეკონომიკის ზრდის შეჩერებას იწვევდა.

[55] ეკა გეგეშიძე - მთლიანი შიდა პროდუქტი და ეკონომიკური ზრდა 2010 წ 135 გვ
[56] https://www.forbes.com/global/2009/0413/034-tax-misery-reform-index.html#27e10fdc43b3

ვარდების რევოლუციის პირველ წლებში ფინანსური პოლიციის უფლებების გადამეტება და ბიზნესმენთა დაშინება საქართველოს ბიზნესრეალობის ნაწილად იქცა. აღნიშნული ხელშემშლელ ფაქტორად იდგა დამწყები მეწარმეებისთვის და ამასთან უკვე არსებულ მეწარმეებს განვითარების საშუალებას უკლავდა.

3.2. გადასახადების გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე

როგორც ეკონმისტები ისე პოლიტიკოსები ხშირად საუბრობენ და კამათობენ იმაზე, თუ რამდენად ახდენს გადასახადების ზომა მცირე, საშუალო და დიდ საწარმოებზე. ეს დებატები მაშინ უფრო იჩენს თავს როდესაც ქვეყანაში პოლიტიკოსბი ცდილობენ საგადასახადო მარჟის ზრდას. ასეთ დროს ოპონენტები ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ გადასახადებსი ზრდა უარყოფითად იმოქმედებს მცირე და საშუალო საწარმოებზე და აუცილებელია მხოლოდ კარგად გაანალიზებული ეკონომიკური ვითარების შემდგომ მოხდეს გადასახადების ცვლილება.

ზოგადად, როდესაც მეწარმე შემოსავლის რაღაც ნაწილს იხდის გადასახადებში, ეს იმას ნიშნავს, რომ მას უფრო ნაკლები რესურსი რჩება ვიდრე დარჩებოდა გადასახადების არ არსებობის შემთხვევაში, ან იმ შემთხვევაში თუ გადასახადების ზომა იქნებოდა უფრო ნაკლები. რაც მეტია გადასახადი მით მეტი კაპიტალი გაედინება მეწარმეებისგან და გადადის მთავრობის ხელში.

სწორედ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უამრავი ეკონომისტის თეორიაში, გადასახადების დონის ზრდა გულისხმობს იმას, რომ უფრო ნაკლები ფული რჩება მეწარმეების მარაგში, შესაბამისად ვერ ახდენენ ისინი შემოსავლის სახით მიღებული კაპიტალის რეინვესტირებას და საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი ხელს უშლის ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ხშირ შემთხვევაში ამცირებს კიდეც უკვე არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობას. ამასთან, ბევრი ეკონომისტის აზრით, გარდა იმისა, რომ გადასახადების დონის ზრდა ხელს უშლის სამუშაო ადგილების შექმნას, ამან შეიძლება ხელი შეუშალოს მეწარმეობის დაწყებასაც. დამწყები, გამოუცდელი მეწარმეებმა შესაძლოა თავი შეიკავონ საქმიანობის დაწყებისგან და ამის მიზეზი იყოს ის შიში, რომ გადასახადების მაღალმა დონემ შესაძლოა ხელი შეუშალოთ მათ საწარმო პროცესში და ვერ შეძლონ გადასახადების გადახდა და მოგების მიღება ერთდროულად.

არსებობს ემპირიულად დასაბუთებული არგუმენტები, რომ მაღალი საგადასახადო მარჯა ხელს უშლის მეწარმეობის განვითარებას. მაგალითად პრინსეტონის უნივერსიტეტის პროფესორი ჰარვი შელდონ როსენი იკვლევდა ამერიკის შეერთებული შტატების საგადასახადო შემოსავლებს 1985–1988 წლების ინტერვალში. ამ მონაცემებზე დაკვირვებით მან დაასკვნა, რომ რაც უფრო მაღალი იყო გადასახადების დონე, მით უფრო მცირდებოდა ინვესტიციების რაოდენობა[57]. ეს კი იმას ნიშნავს რომ უფრო და უფრო ნაკლებად იწყდებდნენ ადამიანების სამეწარმეო საქმიანობას და უფრო ნაკლებად ხდებოდა რეინვესტირება უკვე არსებულ საწარმოებში.

ზემოთ აღნიშნული მოსაზრების საპირისპიროდ არსებობს არგუმენტი, რომლის მიხედვითაც გადასახადების დონის შემცირება იწვევს სამუშაო ადგილების შემცირებას საჯარო სექტორში, ანუ იმ სამუშაო ადგილებზე რომელიც მთავრობის კონტროლის ქვეშაა და მთლიანად მისგან ფინანსდებიან.

[57] The fiscal behavior of state and local governments - Harvey S. Rosen 1997 წ.

რაც შეეხება მეწარმეების მოსაზრებას, მათი დიდი ნაწილი მიიჩნევს რომ გადასახადები მათ საქმიანობაზე გავლენას ახდენს. საქართველოში ჩატარებული ერთერთი კვლევის მიხედვით, რომლის ფარგლებშიც გამოკითხულია 100 მეწარმე, არსებული საგადასახადო სისტემა ბიზნესის განვითარების შემზღუდავად მიაჩნია 37%-ს, ხოლო 41% მიიჩნევს რომ საგადასახადო რეფორმების გატარების შემდეგ, მეწარმეებისთვის მდგომარეობა უცვლელი დარჩა. მხოლოდ 18% მიიჩნევს, რომ შეცვლილი საგადასახადო სისტემა ასტიმულირებს ბიზნესის განვითარებას.

მუხედავად ზემოაღნიშნული პასუხებისა, გამოკითხულთა 100% თვლის რომ გადასახადები რაღაც კუთხით შესამცირებელია. მაგალითისთვის გამოკითხულთა 64% მთლიანად შეამცირებდა გადასახადების დონეს, ხოლო 36% შეამცირებდა გარკვეული ტიპის გადასახადებს. არავინ თვილიდა რომ ცვლილებები საჭირო არ იყო და არცერთის აზრით არ იყო ეს ცვლილებები გადასახადების ზრდის კუთხით გასაკეთებელი.[58]

როდესაც ვსაუბრობთ საგადასახადო სისტემის გავლენაზე, აუცილებელია განვიხილოთ მთავრობს ზომის გავლენაც. ეს ორი პირდაპირ პროპორციულია ერთმანეთთან. რაც უფრო დიდია მთავრობა მით უფრო მაღალია ქვეყანაში გადასახადების დონე, რადგანაც დიდ მთავრობას ბევრი რესურსი სჭირდება საკუთარი მოხელეების ხელფასების ასანაზღაურებლად.

მთავრობის მასშტაბის თეორიული მოდელი სათავეს იღებს არმეის მრუდიდან რომელიც, ყველაზე ხშირად გამოიყენება მთავრობის მასშტაბის ანალიზისთვის. აღნიშული მრუდი გვიჩვენებს მთავრობის მასშტაბისა და ეკონომიკური ზრდის ერთმანეთთან დამოკიდებულებას. მრუდის თანახმად მცირე მასშტაბის მთავრობის პირობებში ეკონომიკური მაჩვენებლები მცირეა, რადგან სახელმწიფო ხარჯების ზრდა ხელს უწყობს ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას და შემდგომში ეს აისახება მთლიან შიდა პროდუქტში. თავდაპირველად მრუდზე ეს მაჩვენებელი ზრდადია და

[58] გულნაზი ერქომაიშვილი, ლია გიგაური, ნინო ტალახაძე - მეწარმეობის საფუძვლები

მაქსიმალური წერტილის მიღწევის შემდეგ მთავრობის მასშტაბის ზრდა ამცირებს ეკონომიკურ ზრდას, გამომდინარე იქიდან, რომ ამ ქმედების შედეგად სახელმწიფო ცვლის საგადასახადო პოლიტიკას და უფრო მეტად ამკაცრებს. ამ ფაქტზე კერძო სექტორი უარყოფითად რეაგირებს, რაც საბოლოოდ ერთობლივ მოთხოვნაზე აისახება, ამასთან გამკაცრებულმა საგადასახადო პოლიტიკამ შესაძლოა ბაზარზე არსებულ მეწარმეებს მისცეს იმის საფუძველი რომ მათ დატოვონ ბაზარი ან მათ შეიცვალონ ბაზარი და გადავიდნენ სხვა ქვეყანაში.



ნახაზზე ნაჩვენებია არმეის მრუდი რომელიც გვიჩვენებს დამოკიდებულებას ეკონომიკის ზრდასა და მოსახლეობის დანახარჯებს შორის. A წერტოლზე ნაჩვენებია სიტუაცია როდესაც მოასხლეობა თითქმის არ უხდის მთავრობას გადასახადებს. ასეთ დროს მთავრობას არ აქვს რესურსი იმისთვის რომ დააფინანსოს ის აუცილებელი ინსტიტუციები, რომელთა გერეშეც დღეს რთულია სახელმწიფოს მოწყობა. ეს შეიძლება იყოს სასამართლო, შინაგანი დაცვა და სხვ. როდესაც ქვეყანას ეს ინსტიტუციები არ გააჩნია, მაშინ ისადგურებს ქაოსი და ანარქია, ასეთ დროს კი

ადამიანები არ ფიქრობენ სამეწარმეო საქმიანობის დაწყებას, რადგანაც არ აქვთ საკუთრების დაცვის უზრუნველყოფის გარანტია სახელმწიფოსგან.

B წერტილზე ნაჩვენებია მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადების ის ოპტიმუმი, რა დროსაც ეკონომიკური ზრდა ყველაზე მაღალია. გადასახადების ეს დონე შეიძლება მივიჩნიოთ როგორც ყველა საჭირო ინსტიტუციის დაფინანსებისთვის საჭირო თანხა. გადასახადების ამ დონის შემდგომ ეკონომიკაში იწყება უარყოფითი პროცესები. მაღალი გადასახადები ზრდის კორპუფციის რისკს, ამასთან მცირდება ეფექტურობის მაჩვენებელი ბიზნეს სექტორში. შესაბამისად მთავრობამ უნდა ცადოს.

საინტერესოა ის ფაქტი, თუ რა ნაწილს უნდა ხარჯავდეს მთლიანი ეკონომიკიდან მთავრობა. ჩათარებული კვლევების მიხედვით, ეს რაოდენობა 20-25%ის ფარგლებში მერყეობს. კლევა ჩატარებულია თურქეთის (22%), ბულგარეთის (20%) და რუმინეთის (25%) მაგალითებზე.[59]

შევადაროთ აღნიშნული საქართველოს მაგალითს.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები გამოსახული ათასეულებში:[60]

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
შემოსავლები	**9,750,326.9**	**10,314,248.0**	**10,487,700.0**
გადასახადები	**8,991,307.4**	**9,490,000.0**	**9,645,000.0**
გრანტები	350,602.4	414,248.0	382,700.0
სხვა შემოსავლები	408,417.1	410,000.0	460,000.0

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი გამოსახული მილიარდებში[61]

[59] O. Faruk Altunc, Celil Aydin - The Relationship between Optimal Size of Government and Economic Growth: Empirical Evidence from Turkey, Romania and Bulgaria 2013 წელი
[60] საქართველოს სახლემწიფო ბიუჯეტის შემოსავლები - თავი 2 (2019 წ)
[61] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp

დასახელება	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი (პირველი კვარტალი)
მთლიანი შიდა პროდუქტი	**37,0**	**41,1**	**9,7**

ამ მონაცემების მიხედვით შეგვიაძლია დავითვალოთ თუ მთლიანი ეკონომიკის შემოსავლების რა ნაწილს ხარჯავს საქართველოს მთავრობა. 2017 წლის მონაცემებით ეს იყო 26.2% ხოლო 2018 წლის მონაცემებით 25%.

საქართველოს მთავრობამ 2017 წლის პირველი იანვრიდან დანერგა მოგების გადასახადის ესტონური მოდელი. მოდელის დანერგვის მთავარი მოტივი იყო ის რომ მეწარმეობის დაწყება და ბიზნესი კეთება უფრო სტიმულირებულიყო.[62]

ამ საგადასახადო რეფორმის შინაარსი იმაში მდგომარეობდა, რომ მეწარმეებს არ გადაეხადათ მოგების გადასახადი. იმ შემთხვევაში თუ კომპანია მოახდენდა საკუთარი შემოსავლების ინვესტირებას და არ დახარჯავდა ფულს სამეწარმეო საქმიანობის გარეთ. ამ ყველაფრის შინაარსი კი საბოლოო ჯამში ეკონომიკური ზრდა იყო. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, გადასახადების შემცირება ამცირებს მთავრობის ზომასაც. თუ მოგების გადსასახდის რაოდენობა შემცირდებოდა, შემცირდებოდა მთავრობის ზომაც. მთავრობის ზომასა და ეკონომიკურ ზრდას შორის კორელაციის დასადგენად ჩატარებული უამრავი კვლევის მიხედვით, მთავრობის ზომის შემცირება, სხვა თანაბარ პირობებში ეკონომიკის ზრდას უწყობს ხელს.

ვნახოთ რა გამოიწვია 2017 წლის შემდგომ შემოღებულმა ესტონურმა მოდელმა და როგორ შემცირდა მოგების გადასახადის წილი, წლის საბიუჯეტო შემოსავლებში.

[62] https://www.rs.ge/6239

წელი	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
მოგების გადასახადი (მლნ. ლარი)	**576.0**	**832.0**	**851.0**	**870.0**	**829.0**	**1025.0**	**980.0**	**756.0**	**630.0**
პროცენტი საბიუჯეტო შემოსავლებში	**12**	**14**	**13**	**12**	**11**	**13**	**11**	**8**	**6**

როგორც ჩანს ესტონურმა მოდელმა იმუშავა და თუ მოდელის შემოღებამდე საშუალოდ 2010 წლიდან მოგების გადასახადის წილი ბიუჯეტის მთლიან შემოსავლებში 12%ს შეადგენდა, 2017 – 2018 წლის მონაცემებით ის უკვე საშუალოდ 7%ზე ჩამოვიდა.[63]

ზემოაღნიშნული მონაცემებით შეგვიძლია დავასკნათ რომ მოდელის შემოღებამ მიზანი გაამართლა. თუ 2010 წლიდან მოგების გადასახადის საშუალო მაჩვეებელი 855 მილიონ ლარს, 2017 – 2018 წლის მდგომარეობით შეადგენს 693 მილიონ ლარს, რაც სხვა თანაბარ პირობებში იმას გულისხმობს რომ მოდელის შემოღების შემდგომ საშუალოდ წლიურად 162 მილიონი ლარი რომელიც მეწარმეებს გასახადის სახით უნდა გადაეხადათ, რეინვესტირდება და ზრდის მეწარმეობის პოტენციალს.

როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ, გადასახადები აუცილებლად უნდა იყოს მარტივად გასაგები და ყველა მეწარმეს თუ დამწყებ სუბიექტს უდნა შეეძლოს მარტივად გაერკვეს მის არსში. შესაბამისად საქართველოს საგადასახადო სისტემას ჩემი აზრით სწორედ ეს აკლია. გადასახადების ჯამური ზომა შესაძლოა იმ დონეზა რა დონეზეც ეკონომიკას არ აზარალებს, თუმცა არის მეორე ფაქტორიც. რამდენად ესმით ადამიანებს გადასახადის ბუნება. სწორედ ამ მიმართულებით არის მუშაობა

[63] https://www.mof.ge

საჭირო. გადასახადები არა მარტო უნდა შემცირდეს, არამედ მარტივად გასაგები უნდა გახდეს ყველასთვის. ყველამ უნდა იცოდეს, რას, სად და რისთვის იხდის.

დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევის პროცესში ცხადი გახდა შემდეგი გარემოებები:

1) კერძო მეწარმეობის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს სახელმწიფო და მის მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა. რაც უფრო მეტად თავისუფალია ადამიანი, მით უკეთ ვითარდება მეწარმეობა და შესაბამისად ეკონომიკა. ამასთან სახელმწიფოს შეუძლია რეკომენდაციებით ხელი შეუწყოს დამწყებ მეწარმეებს და გაუმარტივოს საკანონმდებლო სივრცეში ლავირება.
2) სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებლების მხრიდან მარეგულირებელი კანონმდებლობების მკაცრად ჩამოყალიბება იწვევს კერძო მეწარმეების შეზღუდვას. რეგულაციები ქმნიან უარყოფით მოლოდინებს, რაც შემდგომში აისახება ეკონომიკაზე. ზოგიერთი რეგულაცია შესაძლოა კრიტიკული შედეგების მომტანი აღმოჩნდეს და სრულად შეაფერხოს ეკონომიკური ზრდა.
3) სახელმწიფო შესყიდვები ეკონომიკის საკმაოდ მსუყე ლუკმას წარმოადგენს. მისი სწორი პოლიტიკით, იქმნება უდიდესი ბაზა მეწარმეებისთვის, სადაც შეუძლიათ დაიწყონ სხვებთან კონკურენცია. სახელმწიფო შესყიდვები მარტივად შეიძლება გახდეს მეწარმისთვის დიდ ბაზარზე გასასვლელად მოსამზადებელი ველი. შესაბამისად ამ სფეროში სწორი პოლიტიკის გატარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. როგორც ვნახეთ საქართველოს მაგალითზე, საბიუჯეტო ხარჯების 33% - მეტი და მთლიანი ეკონომიკის თითქმის 12% იხარჯება სახელმწიფო შესყიდვებზე. ეს მას საკმაოდ მნიშვნელოვან ფაქტორად აქცევს.
4) პრივატიზაციის როლი საკმაოდ დიდია კერძო მეწარმეობის განვითარებაში. კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ კერძო სექტორი გაცილებით უფრო წარმატებულია, ვიდრე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოები.

სწორედ ამიტომ უმჯობესია მაქსიმალურად პრივატიზირებული იყოს სახელმწიფო საკუთრება.

5) საბანკო საქმიანობაზე სახელმწიფოს ზემოქმედებას საკმაოდ მძიმე შედეგების მოტანა შეუძლია. ეს ნათლად გამოჩნდა 2019 წლის პირველი იანვრიდან ახალი საბანკო რეგულაციების მიღების შემდგომ. შემცირდა მეწარმეების შემოსავლები, მოსახლეობას პრობლემები შეექმნა სესხების აღებისას, სერიოზული ზარალი მიადგა სამშენებლო ბიზნესს. ამასთან არასწორია საკუთარი ქვეყნის ვალუტის გამყარებისთვის ისეთი ქმედებების ჩადენა, რაც ლარიზაციის დროს მოხდა. ამ საბანკო რეგულაციებთან ერთად კიდევ უფრო ცუდი გავლენა იქონია ეკონომიკაზე.

6) საგადასახადო პოლიტიკა პირდაპირპროპორციულად მოქმედებს მეწარმეობაზე. რაც უფრო ლიბერალურია საგადასახადო პოლიტიკა, მით უფრო მარტივია მეწარმეობის დაწყება. საქართველოში 2005 წლიდან განხორციელებულმა საგადასახადო რეფორმებმა უდიდესი წვლილი ითამაშა ეკონომიკის განვითარებაში.

რაც შეეხება რეკომენდაციებს:

1) სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მეწარმეებს საქმიანობის დაწყებისას, უნდა შექმნას კერძო მეწარმეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემო. როგორც უკვე აღვნიშნეთ სახელმწიფოს შეუძლია შექმნას ორგანიზაციები, რომლებიც რეკომენდაციებს გაუწევენ დამწყებ მეწარმეებს, როგორც საგადასახადო კუთხით (საგადასახადო სისტემის გაცნობა), ასევე საკანონმდებლო კუთხით. მოგეხსენებათ ყოველ საწარმოს სჭირდება თავისი ბუღალტერი და იურისტი. კარგი იქნება თუ საწყის ეტაპზე სახელმწიფო შეითავსებს ამ როლს. სახელმწიფოს ამ ფუნქციის გამოყენება უფრო მეტად რეკომენდირებულად მიმაჩნია განუვითარებელ და განვითარებად ქვეყნებში.

2) ვისაუბრეთ რეგულაციების არსზე და მის სახეებზე. სახელმწიფოს ერთერთ ფუნქციას წარმოადგენს ქვეყნის მართვისთვის გარკვეული ტიპის რეგულაციების შემოღება. თუმცა ამ რეგულაციების შემოღება უნდა ხდებოდეს დაკვირვებების და კვლევების საფუძველზე. რეგულაციის მიღების წინ მაქსიმალურად უნდა იყოს დათვლილი ის უარყოფითი შედეგები რაც შეიძლება თან სდევდეს მას. ამასთან უკვე მიღებული რეგულაციებიც უნდა იქნეს გადახედილი. თუ კონკრეტულ მათგანს მოყვა საკმაოდ ცუდი შედეგები და დააზარალა კერძო მეწარმეობის განვითარება, აუცილებლად უნდა მოხდეს მისი შემსუბუქება ან სრულად დერეგულირება.
3) სახელმწიფო შესყიდვების კუთხით მაქსიმალურად უნდა მოხდეს ყოველგვარი კორუფციული გარიგებებისგან და შეზღუდვებისგან თავის არიდება. შესყიდვები უნდა იყო გამჭვირვალე და მოქმედებდეს რაციონალური ხარჯვის პრინციპით. რაციონალურ ხარჯვასთან ერთად გათვალისწინებული უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის ხარისხი, რათა საბოლოოდ რაციონალურობა არ გახდეს არარაციონალურობის წინაპირობა. რაც შეეხება საქართველოს კანონს შესყიდვების შესახებ, მაქსიმალურად უნდა მოხდეს ყველა იმ გამონაკლისის ამოღება რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. ეს გამონაკლისები ქმნიან არაკონკურენციულ გარემოს და თამაშს გარეთ ტოვებენ კონკრეტულ მეწარმეებს.
4) პრივატიზაცია. ალბათ ეს არის უპირველესი რაც უნდა გაკეთდეს. საქართველოს მაგალითზე თუ განვიხილავთ, დღეის მდგომარეობით ხე-ტყის 100% ეკუთვნის სახელმწიფოს, სასოფლო სამეურნეო მიწის 65%-ზე მეტი ეკუთვნის სახელმწიფოს, სასარგებლო წიაღისეულის 100% ეკუთვნის სახელმწიფოს. ეს ციფრები საკმარისია იმისთვის, რომ წარმოვიდგინოთ რამდენი რესურსია ეკონომიკის გარეთ. ვთვლი რომ აუცილებლად სასწრაფოდ უნდა მოხდეს სახელმწიფო ქონების პრივატიზება თუ გვინდა, რომ მეწარმეობა განვითარდეს და მივიღოთ სწრაფი ეკონომიკური ზრდა.

5) ბანკის საქმიანობაში ჩარევამ საქართველოში საკმაოდ ცუდი შედეგები მოგვიტანა. მოსახლეობის დაცვის მიზნით შექმნილი რეგულაციები ისევ მოსახლეობის წინააღმდეგ მოქმედებს. აუცილებლად უნდა შემსუბუქდეს ან სრულად გაუქმდეს რეგულაციები, რათა ეკონომიკა დაუბრუნდეს იმ კალაპოტს რა კალაპოტშიც მიედინებოდა 2017-2019 წელს მიღებული რეგულაციების მიღებამდე.
6) საგადასახად სისტემა მაქსიმალურად ლიბერალური უნდა იყოს. ერთი შეხედვით სხვა ქვეყნებთან (განსაკუთრებით კი ევროპის ქვეყნებთან) შედარებით საქართველოს ლიბერალური საგადასახადო სისტემა აქვს, თუმცა ეკონომიკური განვითარების საწყისებზე, ეს საკმარისი არაა. რეალურად საქართველოს შეუძლია სახელმწიფო ინსტიტუციების გაუქმების ხარჯზე მოახერხოს და კიდევ უფრო შეამციროს გადასახადები. ამასთან გადასახადები უნდა იყოს ყველასთვის ნათელი. ყველამ უნდა იცოდეს როდის, რამდენს და რატომ იხდის.

ჩვენი აზრით, ჩამოთვლილი რეკომენდაციები ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებისთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს. თუ გვინდა რომ სწრაფი ეკონომიკური ზრდა მივიღოთ, აუცილებლად უნდა შევქმნათ ეკონომიკური პოლიტიკა ისე, რომ მან მაქსიმალურად ასტიმულიროს მეწარმეობის დაწყება.

გამოყენებული ლიტერატურა

უცხოენოვანი ლიტერატურა

1. Adam Smith - An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations
2. Adam Smith, An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations, ch. 2, 1776.
3. Aleksashenko 1990 წ. გვ. 21
4. Balcerowicz, 1995, გვ 145
5. Federal Ministry of Labour and Social Affairs. (2015). Work 4.0. Keep working. Arbeiten 4.0. Arbeit weiter denken, Berlin
6. Growing and sustaining entrepreneurial ecosystems: What they are and the role of government policy, Tim Mazzarol, University of Western Australia
7. Guenter Faltin - Brain Versus Capital , 2013 თებერვალი
8. Industrie 4.0 Maturity Index Managing the Digital Transformation of Companies. Günther Schuh, Reiner Anderl, Jürgen Gausemeier, Michael ten Hompel, Wolfgang Wahlster (Eds.) გვ. 44-55
9. James Buchanan, "Rent Seeking and Profit Seeking," in The Collected Works of James M. Buchanan: Vol. 1. Liberty Fund 1999.
10. New internationalist - A short history of TAXATION 2 ოქტომბერი2008
11. Richard Cantilion, Essay on the Nature of Trade in General, 1730
12. Service quality and customer satisfaction: qualitative research implications for luxury hotels – Carl Lu, 2015.
13. Śledzik K., (2013), Schumpeter's view on innovation and entrepreneurship
14. The Cumulative Cost of Regulations, Bentley Coffey, Patrick A. McLaughlin, and Pietro Peretto, 2016 წლის აპრილი, გვ. 8
15. The Fourth Industrial Revolution, by Klaus Schwab – (2016 იანვარი)
16. O. Faruk Altunc, Celil Aydin - The Relationship between Optimal Size of Government and Economic Growth: Empirical Evidence from Turkey, Romania and Bulgaria 2013 წელი

ქართულენოვანი ლიტერატურა

1. რ. აბესაძე, ე. კაკულია, მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში, თბილისი, 2009.
2. რ. გველესიანი, ე.მექვაბიშვილი - მეწარმეობის თეორიული საფუძვლები. თბილისი, 2009.

3. რ. გველესიანი, ე. მექვაბიშვილი, ი. გაგნიძე, ე. ლეკაშვილი, მ. ნაცვალაძე, მეწარმეობის თეორიული საფუძვლები, ნაწილი I-II, თბილისი, 2009.
4. გ. ერქომაიშვილი - რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა- ბიზნესმეწარმეობიდან სოციალური მეწარმეობისაკენ მამოძრავებელი ძალა. თბილისი, 2019 .
5. გ.ერქომაიშვილი, საქარტველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებანი. თბილისი, 2016.
6. გ.ერქომაიშვილი, მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებანი საქართველოში, თბილისი, 2004.
7. გ.ერქომაიშვილი, ლ. გიგაური, ნ. ტალახაძე - მეწარმეობის საფუძვლები, თბილისი, 2011.
8. ეკა გეგეშიძე - მთლიანი შიდა პროდუქტი და ეკონომიკური ზრდა, თბილისი, 2010 .
9. ერთიანი და ძლიერი საქართველოსთვის ეკონომიკური ზრდის, გრძელვადიანი სტაბილურობისა და ევროინტეგრაციის გზით, სამთავრობო პროგრამა , თბილისი, 2004.
10. ვ. პაპავა - საქართველოს ეკონომიკა, თბილისი, 2015.,
11. მოხსენება ვადაგადაცილებულ დავალიანებათა შესახებ. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის გამოკვლევები. თბ., 1998.
12. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო - სახელმწიფო შესყიდვების ანგარიში, 2015.
13. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020, საქართველოს მთავრობა, ნოემბერი, 2013.
14. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის. თბილისი, 2016.
15. საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ. 22 ივნისი, 2016.
16. საკონსტიტუციო სარჩელი - N655
17. საქართველოს 2018 წლის ბიუჯეტი https://mof.ge/5115
18. საქართველოს კანონი „ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ “, 2018.
19. საქართველოს კანონი “ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ „ თავი 1, მუხლი 1, პუნქტი 31
20. საქართველოს კანონი “ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ „ თავი 2, მუხლი 10, პუნქტი 3
21. საქართველოს კანონი „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“, 2002 წლის 13 სექტემბერი, მუხლი 3

22. საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ, 22 ივნისი 2016წ
23. სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს 2018 წლის ანგარიში - http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/AnalyticalStudiesReports/2018-tslis-saqmianobis-angarishi-geo.pdf.aspx
24. სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს 2018 წლის ანგარიში - http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/AnalyticalStudiesReports/2018-tslis-saqmianobis-angarishi-geo.pdf.aspx
25. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები - თავი 2 , 2019 წ.
26. ფალტინი გ. გონება ამარცხებს კაპიტალს. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2015.

ვებ გვერდები

1. http://files.libertyfund.org/files/220/0141-02_Bk.pdf
2. http://freakonomics.com/2011/02/17/quotes-uncovered-death-and-taxes/
3. http://procurement.gov.ge/
4. http://www.tabula.ge/ge/story/145479-suli-kbilit-gvichiravs-sesxebis-gacemis-shezghudvam-biznesi-daazarala
5. https://cei.org/content/costs-and-burden-federal-regulations-reach-19-trillion
6. https://en.wikipedia.org/wiki/German_Peasants%27_War
7. https://en.wikipedia.org/wiki/List_of_historical_acts_of_tax_resistance
8. https://imedinews.ge/ge/saqartvelo/3012/sakonstitutsio-sasamartloshi-saqartvelos-postis-tsinaagmdeg-sarchels-ganikhilaven
9. https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408
10. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3322328
11. https://regulatorystudies.columbian.gwu.edu/reg-stats#Total%20Pages%20in%20the%20Code%20of%20Federal%20Regulations%20(1936%20-%202013)
12. https://www.arbeitenviernull.de/dialogprozess/gruenbuch/arbeiten-40.html
13. https://www.companyinfo.ge/ka/corporations/428369
14. https://www.econlib.org/library/Enc/bios/George.html
15. https://www.forbes.com/global/2009/0413/034-tax-misery-reform-index.html#27e10fdc43b3
16. https://www.investopedia.com/terms/p/progressivetax.asp
17. https://www.investopedia.com/terms/p/proportionaltax.asp
18. https://www.investopedia.com/terms/r/regressivetax.asp
19. https://www.rs.ge/4771
20. https://www.rs.ge/5117
21. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp